

ახალი განათლება

№30 (704) მაისი 1998 წლიდან

15 - 21 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

www.axaliganatleba.ge

ქვეყნის წარმატების ამოსავალი პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქეა

რუბრიკის „ქართული სტუდენტები უცხოეთში“
სტუმარია ანა აბესაძე,
ტაშინის უნივერსიტეტის სტუდენტი

„ვეიქობ, ჯახგი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ
წასვლა სულაც არ არის ერთდროული ადგილმეტყველება. საზღვარგარეთ
სწავლა ჩემთვის გეხმარება, ეს არის ცხოვრებისეული უნარ-
ჩემის შექმნა, ენის ცოდნის მეცნიერულ დონეზე გაუმჯობესება,
საერთაშორისო გამოცდილება და უნტაქტები, ჩემი ჰიმ-
ფესიურ წინსვლაში დაგეხმარება.“



გვერდი 6



„სასკოლო გზების პროგრამაზე“ რეგისტრაცია
12 ოქტომბერს, 13:00 საათიდან დაიწყო და
26 ოქტომბრამდე გაგრძელდება

რეგისტრაცია შესაძლებელია თბილისის საბავშვო ბაბა-ბაბების
მართვის საბუნდოვან ვებგვერდზე - WWW.KIDS.ORG.GE



www.mes.gov.ge

ოქტომბერი 2015

სასკოლო გზების

დაგვიანებული „პირველი სექტემბერი“

გვერდი 2

პედაგოგთა დასახმარებლად

რა არის რიცხვი

მათემატიკა
(დაწყებითი საფეხური)

ინტერაქტიული სწავლა- სწავლება

სამოქალაქო
განათლება

გვერდი 4-5

6

დაბვიანებული „პირველი საქმეები“

ლალი ჯიქიაძე

ჩემი პირველი „პირველი საქმეები“ იმით დაიწყო, რომ სკოლაში არ მიმიღეს. მიზეზი ის გახდა, რომ ვერ 7 წლის არ ვიყავი, ნოემბერში ვბადვდი, არადა ფორმაც მქონდა და ჩანთაც, საპირველსექტემბროდ ლექსიც ვიცოდი, წერაც, კითხვაც და ანგარიშიც... დედაც იმავე სკოლაში მუშაობდა პედაგოგად, მაგრამ მაინც არაფერმა გაჭრა. ჩემი დაუინტერესებელი თხოვნით, პირველ სექტემბერს, ფორმაში გამოწყობილი, სკოლაში წამიყვანეს – ომხანადა ვთქვი ლექსი წამდვალ პირველკლასელებთან, წიგნებით ჩანთა გავიფხვრე და შევუდექი ვითომ პირველკლასელობას. ჩემი „კლასელი“ ჩემი ძმა იყო და ასე ვისწავლე, მასთან ერთად, ერთი წელი არაფორმალურად. შემდეგი წელი კი ჩემთვის მეორე, ანუ ნამდვილი პირველი სექტემბერი იყო, რომელიც არც თუ ისე საინტერესო აღმოჩნდა... ამ ამბავმა წლებადელი პირველკლასელობის მსურველი ბავშვები გამახსენა, რომლებსაც 14 სექტემბრამდე 6 წელი არ უსრულდებოდათ და სკოლაში არ მიიღეს. მეც ორი თვის გამო მომინა ლოდინი, უბრალოდ, განსხვავება ჩემსა და ამ ბავშვებს შორის ის არის, რომ მე საბჭოთა სკოლის მოსწავლე ვიყავი და თან, მათგან განსხვავებით, ალტერნატივაც არაფერი მქონდა.

ეს წერილი იმ გულგატეხილ მომენტებს მივუძღვენი, რომელთა შვილები წელს პირველკლასელები იმის გამო ვერ გახდნენ, რომ 14 სექტემბრამდე ვერ მოასწრეს 6 წლის გამხდარიყვნე. ამის გამო მშობლებმა ბევრი იღვლე, უკმაყოფილება გამოხატეს სამინისტროს მიმართ, თხოვნითაც მიმართეს მინისტრს, რომ გადაწყვეტილება შეცვალა და სკოლაში მიეღოთ ის ბავშვები, რომლებსაც 2015 წლის ბოლომდე შეუსრულდებოდათ 6 წელი, ბოლოს იმასაც კი ითხოვედნენ, ის ბავშვები მაინც მიეღოთ სკოლაში, რომლებიც სექტემბრის ბოლომდე ხდებოდნენ 6 წლის. მაგრამ სამინისტრომ, ექსპერტებისა და ფსიქოლოგების არგუმენტების მოშველიებით, განმარტა, რომ 6 წლის თუ არ გახდა ბავშვი, ის სკოლისთვის მზად არ არის, თუნდაც ერთი თვე, სასკოლო მზაობისთვის მნიშვნელოვანია. მოკლედ, საკითხი ასე გადაწყდა და ალტერნატივად სამინისტრომ სკოლის გარეთ დარჩენილ, საბავშვო ბაღისთვის უკვე „მონიჭულ“, პატარებს სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა შესთავაზა.

სასკოლო მზაობის პროგრამა UNICEF-ის დახმარებით შემუშავდა და მორგებულია საბავშვო ბაღის მოსწავლე 5-6 წლის ბავშვებზე. პროგრამა საშუალებას მისცემს მათ განვითარონ უნარები, რომლებიც სკოლაში წარმატების მიღწევამდე დაეხმარებათ. ექვს წლამდე ასაკის ბავშვები ყველაზე უკეთ სწავლობენ ისეთ გარემოში, სადაც წახალისებულია თამაში. სკოლისთვის მზაობის პროგრამის მთავარ არსს სწორედ თამაშით სწავლება, ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა და სააზროვნო უნარების უკეთ ჩამოყალიბება წარმოადგენს. პროგრამა, ასევე, ხელს უწყობს სოციალურ-ემოციური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას, რაც ბავშვებს დაეხმარება გამკლავდნენ სირთულეებს სკოლაში, სადაც სასწავლო პროცესი უფრო მეტად სტრუქტურირებულია.

ალტერნატივა, თავისთავად, ძალიან სერიოზულ და საჭირო მიდგომას გულისხმობს, ამ ასაკის ბავშვებისთვის. ფსიქოლოგი ქეთი მაყაშვილი ამ ასაკს თინეიჯერების ასაკზე არანაკლებ კრიტიკულ პერიოდად

მიიჩნევს: „ფსიქოლოგები ადამიანის ცხოვრებაში კრიტიკულ პერიოდებს გამოყოფენ. თინეიჯერობის პერიოდი რომ კრიტიკულია, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ სინამდვილეში არანაკლებ კრიტიკულია ეს პერიოდი. უბრალოდ, ბავშვი პატარაა და პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება, უფრო ლავირებული შეიძლება იყოს, პატარებმა შეიძლება ისე ვერ გამოხატონ თავისი მდგომარეობა, რომ ამით ჩვენ პრობლემები შევვიქმნან. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არის. ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ფსიქოლოგი ამბობს, რომ ეს არის ინიციატივის პერიოდი. ინიციატივა, თავისთავად, არაჩვეულებრივია და უკავშირდება იმას, რომ ამ დროს უნარების აფეთქება ხდება – მნიშვნელოვანია, ისინი სწორად მიმართო და კარგად დაალოცო ყველაფერი. იმისთვის, რომ მისი ასეთი აფეთქება სასარგებლოდ დაიხარჯოს, ვფიქრობ, უმთავრესი, ბავშვისადმი ფაქიზი მიდგომა და თანმიმდევრული ხელმძღვანელობაა. ამ აფეთქებაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოსახვაა, რომელიც, ერთი მხრივ, სრულად შლის თამაშის ფუნქციას. ბავშვებმა კარგად იციან, წარმოსახვით როგორ გასალოო როლური თამაში, მართლაც რას არ თამაშობენ. მაგრამ, საქმე ის არის, რომ წარმოსახვა, სინამდვილეში, აზროვნების წინაპირობაა და მას მხოლოდ თამაშის ფუნქცია არ აქვს, თამაშით შეიძლება შემეცნების ხელშეწყობა, ანუ თამაშის ელემენტით შემეცნების განვითარება. ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესია შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობა დაუკავშირდეს ერთმანეთს“.

სასკოლო მზაობის პროგრამის სწორად განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია და სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას მოითხოვს: მასწავლებელთა გადამზადებას, რაც უკვე მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ, სათანადო გარემოს შექმნას სკოლაში მზაობის განათლების დაწესებულებით და შესაბამისი სასწავლო მასალებით აღჭურვას. ვორლდ ვიფენ საქართველოს მხარდაჭერით, განხორციელდა სასკოლო მზაობის პროგრამის პირველი კლასის სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა; პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია სკოლაში მზაობის განათლების დაწესებულებების მონიტორინგი, რომ ყველა ბავშვმა თანაბრად ისარგებლოს უფასო და უნივერსალური სასკოლო მზაობის პროგრამით.

ბუნებრივია, საინტერესოა, როგორ მოემზადა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მერია და მუნიციპალიტეტები სასკოლო მზაობის პროგრამის დასაწყებად და რა აქტივობები განხორციელდა? გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით და ექსპერტების მონაწილეობით, შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამის ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს, აღმზრდელის სახელმძღვანელოს და აქტივობათა კრებულს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაიწყო ბაღის აღმზრდელის გადამზადება. ტრენინგის მიზანია, აღმზრდელებმა შეძლონ, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტზე, აღმზრდელის სახელმძღვანელოსა და აქტივობათა კრებულზე დაყრდნობით, სააღმზრდელი პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. საბავშვო ბაღების მეთოდის ტემპა და აღმზრდელებმა ტრენინგებზე დეტალურად განიხილეს

პროგრამის ყველა კომპონენტი: თამაშის როლი ბავშვის სწავლაც-განვითარებაში, სასკოლო მზაობის ჯგუფის დღის განრიგი, სასკოლო მზაობის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი, აღმზრდელის სახელმძღვანელოში არსებული თემატური მიმართულებები, ძირითადი საქმიანობები სასკოლო მზაობის ჯგუფში, ფიზიკური გარემო და რესურსები, დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება, არაფორმალური შეფასება, ბავშვის პორტფოლიო, თანამშრომლობა მშობლებთან, სამუშაო დღის და კვირის დაგეგმვა.

აღმზრდელისთვის შექმნილი სახელმძღვანელო და აქტივობის ნიგნი, რომელიც 700-ზე მეტ აქტივობას აერთიანებს, მათ ბავშვებთან მუშაობაში დაეხმარება. მე-6 საბავშვო ბაღის დირექტორი, სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი **თამარ ბაქრაძე** ამბობს, რომ: „სახელმძღვანელოს შედგენისას, მთავარი მიზანი იყო, არ დამსგავსებოდა სკოლის პროგრამას და ბავშვი მერხთან არ დაგვესვა. ამიტომ სათაურიც ისეთი გვეურჩიეთ – „თამაში“. ამით ხაზი გაუუსვით, რომ ბავშვის უნარების განვითარება სწორედ თამაშით განხორციელდეს. განახლდა ძველი სტანდარტი 5-6 წლის ასაკის ბავშვებისთვის, რომელშიც ჩამოყალიბდა ის ახალი უნარები, რომლებიც უნდა განვითარდეს ამ ასაკში: ფიზიკური განვითარება – სირბილი, ხტობა; ნატოფი მოტორიკა – ხელში კალმის ან ფანქრის კარგად ჭერა; სოციალურ-ემოციური უნარები – სწავლისადმი მიდგომა, კრიტიკული აზროვნება, შეკითხვების დასმა, საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, თანამშრომლობის უნარების განვითარება თანატოლებთან – აი, ამ უნარებზე ვაკეთებ აქცივტივებს და აქტივობებს ჩამოთვლილ უნარებს შეუსაბამდა“.

პროგრამით ბავშვი იძენს მნიშვნელოვან სოციალურ უნარ-ჩვევებს, რაც მას მასწავლებლებთან და თანატოლებთან ურთიერთობისას დაეხმარება. სასკოლო მზაობის პროგრამას ბაღის პროგრამისგან ერთი მთავარი ნიშანი – ინდივიდუალური მიდგომა – განსხვავებს. ეს კი პროგრამის წარმართვისას უმთავრესია. ეს უნდა იყოს პროგრამა, რომელიც კონკრეტული ბავშვის საჭიროებებზე იქნება მორგებული. ამ სახელების განხორციელება, ბუნებრივია, პედაგოგებს მომზადების გარეშე გაუჭირდებოდათ, ამიტომაც იუნისეფის დახმარებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებთან ერთად, მომზადდა სპეციალური აღმზრდელის სახელმძღვანელო და გადამზადდნენ აღმზრდელები.

თამარ ბაქრაძე ამბობს, რომ აღმზრდელებს, ვისაც ტრენინგები ჩაუტარდათ, ძალიან მოსწონთ პროგრამა, რაც მთავარია, „პირველად მოხდა ყველა იმ პრინციპის განერა, რომლის მიხედვითაც თვითონ აღმზრდელს შეუძლია დაგვემოს აქტივობა. მართალია, შემოთავაზებულია აქტივობების კრებული, მაგრამ მას უფრო სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. სასურველია, აღმზრდელმა, ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე, თავად დაგვემოს შესაბამისი აქტივობა. ბავშვებთანაც გამოვცადებ რამდენიმე აქტივობას და კარგი შედეგი მივიღებ. პატარებს განსაკუთრებით ის თამაშები მოსწონთ, რომელიც მაღალ საბავშვო უნარებს უკავშირდება“.

იუნისეფის კომუნიკაციების ხელმძღვანელი **მაია ქურციკიძე** აცხადებს, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა გახდება ის დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც აქამდე არ არსებობდა ბაღსა და სკოლას შორის:

„ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ საბავშვო ბაღიდან გამოსული ბავშვი არ იყო კარგად მომზადებული სკოლისთვის. ბაღში განსხვავებული გარემოა – ნახევრად არაფორმალური და მას ასეთი გარემოდან ფორმალურ – უფრო სტრუქტურირებულ გარემოში გადასვლა უნდა დაემორჩილოს, მაგ., მერხთან ჯდომას და ა.შ. აქამდე არ გვექონდა ამ ორ ინსტიტუტის შორის დამაკავშირებელი რგოლი. სასკოლო მზაობის პროგრამა სწორედ ამ ხარვეზის ამოვსებას ცდილობს. ხშირად მშობლები გვეკითხებიან – თვლას ისწავლის? რა თქმა უნდა, თვლასაც ისწავლის და ბევრ სხვა რამესაც, მაგრამ, მთავარია, რომ მისი განვითარება და აღზრდა თამაშზე იქნება დაფუძნებული. პროგრამის პირველი წელი საბოლოო-სადასრულია, ერთწლიანი გამოცდილების შემდეგ კი, პროგრამა მეტად დაიხვეწება და 2016 წლიდან ქვეყნის მასშტაბით დაინერგება“.

იუნისეფი თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან, რომ მათ სკოლაში მზაობის განათლების მასწავლებლების მომზადება შეძლონ სწავლების დაწყებამდე და უშუალოდ სწავლების პროცესის მიმდინარეობისას. ილიას უნივერსიტეტმა, იუნისეფის მხარდაჭერით, შეიმუშავა ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების საბაკალავრო პროგრამა, რომლის აკრედიტაცია 2016 წელს მოხდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარლამენტი და მთავრობა მუშაობს სკოლაში მზაობის განათლების საკანონმდებლო ბაზის გაძლიერებაზე. შემუშავდა კანონი ადრეული და სკოლაში მზაობის განათლების შესახებ, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობას და პრაქტიკას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს. კანონი უზრუნველყოფს, მონესრიგდეს სავალდებულო ეროვნული სტანდარტები განათლებაზე, სანიტარიულ პირობებსა და ჰიგიენაზე, ინფრასტრუქტურაზე, კვებასა და სწავლებაზე და მოხდეს ამ სტანდარტების განხორციელების მუდმივი მონიტორინგი. სასკოლო მზაობის პროგრამა, კანონის საფუძველზე, სავალდებულო გახდება.

რამდენმა ბავშვმა მიიღო ეს გამოწვევა და დაახლოებით რამდენი ჩაერთვება წელს სასკოლო მზაობის პროგრამაში, როგორი გარემო დახვედება პატარებს „დაგვიანებულ პირველ სექტემბერს“ საკლასო ოთახის ნაცვლად, ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ბავშვების სააგენ-

ტოს უფროსის მოადგილეს **ნინო ბურძინიძეს**: „მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრის მიერ განხორციელდა ბავშვების მეთოდისტიკის გადამზადება; სულ ბავშვების 10 000-მდე სასკოლო მზაობის ასაკის ბავშვი გვეყავს, ასევე ველოდებით საჯარო სკოლების ბავშვებს სასკოლო მზაობის ჯგუფებში რეგისტრირებულ ბავშვთა გარკვეულ რაოდენობას. რამდენი ბავშვი დარეგისტრირდება სასკოლო მზაობის ჯგუფებში და ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს თუ არა ვაკანტური ადგილების რაოდენობა, ვერ ვეროობთ, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. შემოიღია მხოლოდ ის ვითარება, რომ პროგრამა დაიწყება ბავშვების ყველა კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფში და შერჩეულ საჯარო სკოლებში. პროგრამის მიხედვით, დღის განრიგი 3 საათზეა გათვლილი. მსურველებმა უნდა შეავსონ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა ქ. თბილისის ბავშვების მართვის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.kids.org.ge“.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასკოლო მზაობის პროგრამისთვის მერის 50 სკოლა შესთავაზა, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო მზაობის ჯგუფები გაიხსნება. შერჩეულ სკოლებში მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** აცხადებს, რომ „პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დაგვიანებულია სკოლაში მზაობის განათლების საკანონმდებლო ბაზის გაძლიერებაზე. შემუშავდა კანონი ადრეული და სკოლაში მზაობის განათლების შესახებ, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობას და პრაქტიკას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს. კანონი უზრუნველყოფს, მონესრიგდეს სავალდებულო ეროვნული სტანდარტები განათლებაზე, სანიტარიულ პირობებსა და ჰიგიენაზე, ინფრასტრუქტურაზე, კვებასა და სწავლებაზე და მოხდეს ამ სტანდარტების განხორციელების მუდმივი მონიტორინგი. სასკოლო მზაობის პროგრამა, კანონის საფუძველზე, სავალდებულო გახდება“.

ასაკის გამო სკოლის გარეთ დარჩენილი ათასობით პატარასთვის კი მალე „პირველი სექტემბერი“ დადგება და თამაშით სწავლის ერთი წელი პირველ კლასში სწავლის წარმატებით გაგრძელების საუკეთესო საშუალებად იქცევა. მთავარია, როგორ გაართმევენ თავს პროექტის უმთავრეს არსს ახლად გადამზადებული აღმზრდელები, მათ ხომ ყველაფერი თამაშით უნდა ასწავლონ ბავშვებს იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ბავშვი განსაკუთრებულია და მათ განსხვავებული სურვილები და საჭიროებები აქვთ.

სასკოლო მზაობის მახასიათებლები

- ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება
- სოციალურ-ემოციური განვითარება
- სწავლისადმი მიდგომა
- მეტყველების და საკომუნიკაციო უნარების განვითარება
- შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა

facebook.com/saskolmzaoba

სასკოლო მზაობა

„სასკოლო მზაობის პროგრამაზე“ რეპორტირება დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ „სასკოლო მზაობის პროგრამაზე“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. „სასკოლო მზაობის პროგრამაზე“ დარეგისტრირება შესაძლებელია 12 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე, თბილისის საბავშვო ბავშვების მართვის სააგენტოს ვებგვერდზე - www.kids.org.ge. 2 ნოემბერს კი ბავშვ-ბალებსა და საჯარო სკოლებში პროგრამის განხორციელება დაიწყება.

„სასკოლო მზაობის პროგრამა“, რომელიც თამაშით სწავლების მეთოდის ეფუძნება, 5-6 წლის ბავშვების სასკოლო მომზადებას ითვალისწინებს. პროგრამის მიზანია, ბავშვის სხვადასხვა მიმართულებით განვითარება, მოტორული, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარების გამოუმუშავება, კომუნიკაციის და მეტყველების განვითარება. პროგრამა, რომელიც 30 კვირის განმავლობაში, დღეში 3-საათიან დატვირთვას ითვალისწინებს, საბავშვო ბალებს უფროსი ასაკის ჯგუფებში განხორციელდება. ის ბავშვები კი, რომლებიც ბაღში არ დადიან, საჯარო სკოლებში, სპეციალურად გახსნილ ჯგუფებში მოემზადებიან.

„სასკოლო მზაობის პროგრამა“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა და დედაქალაქის 159-ე ბაღში განხორციელდება. ამასთან, შეიქმნა აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკლვევი) და „სასკოლო მზაობის პროგრამის“ ყოველკვირეული აქტივობების კრებული, ასევე, ვებგვერდი მასწავლებლების სატრენინგო მოდული.

ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, პროგრამის ეფექტურად ნარმართვისა და დანერგვის მონიტორინგს უზრუნველყოფს. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, პროგრამა საჭიროებების მიხედვით დაიხვეწება.

დედაქალაქის მერიაში გამართულ პრესკონფერენციას თბილისის ბავშვ-ბალების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავაც ესწრებოდა.

დავით ნარმანიამ, თბილისის მერი: „მნიშვნელოვანია ის, რომ „სასკოლო მზაობის პროგრამა“, სკოლის წინარე ასაკის ბავშვებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამაა, შესაბამისად, ჩვენ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, აქტიურად ვმუშაობდით აღნიშნულ პროგრამაზე. მომზადდა საბავშვო ბაღებში არსებული ინფრასტრუქტურა და განათლების სამინისტროსთან ერთად - საჯარო სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურა. რეგისტრაციის მიხედვით განსაზღვრული იქნება კონკრეტული ადგილები და შესაძლებელი იქნება მათი არჩევა, როგორც საჯარო სკოლებში, ასევე საბავშვო ბაღებში. ასე რომ, მოვიცავთ ყველა მსურველს“.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომ „სასკოლო მზაობის პროგრამა“ საქართველოშიც იწარმოება, რაც ხელს შეწყობს საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას და თავიდან აგვაცილებს ნებისმიერ ზიანს, რომელიც სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იყო ბავშვს მისდგომოდა. ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ ქალაქის მერიაში და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად საქართველოს მასშტაბით. პირველად შეიქმნა სახელმწიფო სტანდარტი, შესაბამის

სი პროგრამა, მასწავლებლის მომზადების მოდული (მოდული უკვე ამოქმედებულია, რის მიხედვითაც მასწავლებლები უკვე მომზადებული არიან), ინფრასტრუქტურული სტანდარტი, სავალდებულო რესურსების ჩამონათვალი ნუსხა და, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სახელმძღვანელოები, მათ შორისაა აღმზრდელის სახელმძღვანელო. ყველა რესურსი, რომელიც შეიქმნა, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომი იქნება საბავშვო ბაღებისთვის და იმ სკოლებისთვის, სადაც ეს პროგრამები განხორციელდება. ვარდა იმისა, რომ თბილისის მერია და მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ ამ რესურსების ცირკულაციას და მიწოდებას სხვადასხვა დაწესებულებისთვის, ყველა ელექტრონული რესურსი განთავსდება ჩვენს ვებგვერდზე, რომლითაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგების გადამზადებაში მონაწილეობდა უნიციფი, რომელსაც ამ კუთხით ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. აღსანიშნავია, რომ ისინი ჩვენთან ერთად ბოლომდე მუშაობდნენ, რათა პროგრამის დანერგვა ყოფილიყო ხარისხიანი და მონიტორინგს, რადგან სტანდარტი სახელმწიფოს მიერაა დაწესებული, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუნიციპალიტეტებთან ერთად განხორციელებს მონიტორინგს იმისათვის, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გამართულ რეჟიმში ვიმუშაოთ.

ნარმატებებს ვუსურვებ პატარებს. მოვიდნენ, გაიარონ რეგისტრაცია, რაც მთავარია, ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ ნებისმიერი მათგანი მოხვდეს რომელიმე დაწესებულებაში“.

თემურ თორდინავა, თბილისის ბავშვ-ბა-



ლების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი: „ის აღსაზრდელი, რომელიც დარეგისტრირებული არიან თბილისის საბავშვო ბავშვ-ბაღებში და შეესაბამება კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფს, ანუ 5-6-წლიან ჯგუფებს, „სასკოლო მზაობის პროგრამას“ გაივლიან თბილისის საბავშვო ბავშვ-ბაღებში, შესაბამისად, მათ ცალკე რეგისტრაცია არ სჭირდებათ. ხოლო ბავშვებს, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებული საბავშვო ბაღებში და დაბადებული არიან 2009 წლის 14 სექტემბრიდან 2010 წლის 12 სექტემბრის პერიოდში, საშუალება ექნებათ დარეგისტრირდნენ 12 ოქტომბრიდან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილ საჯარო სკოლის ფართებში გაიარონ „სასკოლო მზაობის პროგრამა“.

პროფესიული განათლება

სსსმ პირების პროფესიულ ტესტირება

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მსურველად წელს 204 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტი დარეგისტრირდა. აქედან 185 ალტერნატიულ პროფესიულ ტესტირებას გაივლის და სხვადასხვა დაწესებულებაში ჩაირიცხება.

8 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, პროფესიულ კოლეჯში „მერმისი“, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ ტესტირებას დაესწრო და მომავალ სტუდენტებს წარმატება უსურვა.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2013 წლის საშემოდგომო მიღებიდან დღემდე, პროფესიულ სასწავლებლებში სულ 246 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი ჩაირიცხული. 2012 წელს მათი რიცხვი მხოლოდ 22 იყო, 2014 წლის შემოდგომაზე კი პროფესიულ სასწავლებლებში 109 სტუდენტი დარეგისტრირდა.

მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტები მხოლოდ ექვს პროფესიულ დაწესებულებაში ირიცხებოდნენ, წლევიანდელ მიღებაზე კი, აპლიკანტები 22 დაწესებულებაში 50-მდე საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე უზრუნველყოფა სწავლებისათვის საჭირო დამატებითი სპეციალისტების (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაო, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი, პირადი ასისტენტი და სხვ.) მომსახურებით და სხვადასხვა მატერიალური რესურსებით. მიმდინარეობს ასევე პროფესიული სასწავლებლების ადაპტირება უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით.

პროექტს „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“, 2013 წლიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, ახორციელებს. აღნიშნული ინიციატივის მიზანია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და სასწავლო პროცესის ნარმართვა მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად.

თამარ სანიკიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „მიმდინარეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ტესტირება პროფესიულ სასწავლებლებში. ეს შესაძლებელი გახდა დანერგული პროგრამის შესაბამისი სპეციალური, ძირითადი და დამხმარე პერსონალის მეშვეობით, რომლებიც ჩართულები არიან რო-

გორც ტესტირების, ისე პროფესიის შერჩევის რეჟიმში. მნიშვნელოვანია, რომ კარგი ტენდენციაა. თუ 2013 წელს ჩვენ დავინწყეთ, დაახლოებით, 22 ასეთი სტუდენტი 5-6 სასწავლო დაწესებულებაში, წელს უკვე 250-მდე სტუდენტი გვყავს 22 სხვადასხვა დაწესებულებაში, დაახლოებით, 50 საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამის შემდეგ მათ სხვადასხვა უწყებებში სტაჟირებას ვთავაზობთ, მათ შორის, ჩვენს უწყებაში და აღსანიშნავია, რომ მათი დასაქმების მაჩვენებელიც გაზრდილია. ამიტომ ყველას მოვუწოდებ, მოვიდნენ და ისარგებლონ მომსახურებით, რომელიც დღეს უკვე ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში. ნარმატებებს ვუსურვებ მათ“.

ნონა ლუდუშაური, საზოგადოებრივ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორი: „წელს, 5 მიმართულებაზე, 21 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გვქონდა გამოცხადებული მიღება. ამჟამად მიმდინარეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირთათვის პროფესიული მოსინჯვა და საჯაროდ, სტუდენტები 1 ნოემბრისთვის ჩაირიცხებიან, მანამდე მათ უნდა გაიარონ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული ტესტირება“.

პროფესიული განათლების ფესტივალი

„ესტონეთის ნარმატებული გამოცდილების გაზიარება საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების მხარდასაჭერად“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი დაესწრო კონფერენციას, სახელწოდებით - „პროფესიული განათლების ფესტივალი“. კონფერენციას, ასევე, ესწრებოდნენ ესტონეთის ელჩი საქართველოში პრიიტ ტურკი, ესტონეთის განათლებისა და კვლევის პროფესიული და ზოგადი განათლების გენერალური დირექტორი მარტ ლაიდ მეტსი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჰელეო პოლო, ფონდის „INNOVE“ დირექტორი ლეა ორო და სხვა ოფიციალური პირები.

ლონისძიება, 6-7 ოქტომბერს, ესტონეთის ფონდის „INNOVE“ ორგანიზებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში ჩატარდა და მასში ესტონეთის 30-კაციანი დელეგაცია, საქართველოსა და ესტონეთის 16 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმხორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები მონაწილეობდნენ.

ორ ქვეყანას შორის ათწლიანი ნარმატებული პარტნიორობის ფორმატში, კონფერენციაზე მხარეებმა, პროფესიული განათლების კუთხით, პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები, პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

„პროფესიული განათლების ფესტივალზე“ მიენყო ქართულ-ესტონური საგამოფენო სივრცე, სადაც საგანმანათლებ-

ლო დაწესებულებებმა პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები გამოფინეს. ნაჩვენები იყო ასევე საქართველოსა და ესტონეთს შორის პროფესიული განათლების ათწლიანი თანამშრომლობის ამსახველი ვიდეომასალა.

პროფესიული განათლების კუთხით, საქართველოსა და ესტონეთს მრავალწლიანი ნარმატებული თანამშრომლობა აკავშირებს და ქვეყნებს შორის ერთობლივი პროექტები, მომავალშიც, აქტიურად გაგრძელდება.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს. ეს თანამშრომლობა ბოლო პერიოდში მიმართულია პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელებაზე, შესაბამისად, ძალიან დიდია მხარდაჭერის მოდული პროგრამების შემუშავებაზე, პროფესიული მოსწავლეების პედაგოგიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე და ა.შ. სამომავლო თანამშრომლობა აუცილებლად შეეხება პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციას, რაც გულისხმობს ერთობლივი პროგრამების განხორციელებას და ასევე, სტუდენტური გაცვლითი პროგრამების განხორციელებასაც. თანამშრომლობა საკმაოდ ნარმატებული და ნაყოფიერია. ქვეყნებს შორის ერთობლივი პროექტები, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება“.

პრიიტ ტურკი, ესტონეთის ელჩი საქართველოში: „დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია საქართველოსა და ესტონეთს შორის თანამშრომლობის კუთხით. კონფერენცია ეძღვნება 10 წლის პარტნიორობას პროფესიული განათლების სფეროში. როგორც მოგახსენებთ, ესტონეთი საქართველოსთან სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნარმატებული თანამშრომლობა, რომელიც პროფესიული განათლების კუთხით მიმდინარეობს. კონფერენციაში მონაწილეობენ საგანმანათლებლო დაწესებულებები როგორც საქართველოდან, ასევე ესტონეთიდან. მოხარული ვარ, რომ საქართველო მხარს უჭერს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციას, რათა მეტად დაუახლოვდეს არსებული მაჩვენებლები საერთაშორისო სტანდარტებს. დღეს, საქართველოში, პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმები უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს და ფაქტობრივად თანხვედრაშია ევროკავშირის მიერ ნაყენებულ მოთხოვნებთან“.

მარტ ლაიდ მეტსი, ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროს პროფესიული და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის გენერალური დირექტორი: „დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნავთ ესტონეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობას განათლების კუთხით. ეს პროექტი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ესტონეთისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან პარტნიორი კოლეჯები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აფასებენ სისტემაში არსებული რეფორმის სუსტ და ძლიერ მხარეებს. მე ვესტუმრე საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს“. ამ და სხვა კოლეჯების მაგალითზე, თვალსაჩინოა თუ როგორ სწრაფად ვითარდება პროფესიული განათლება საქართველოში“.

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

რა არის რიცხვი




ზურაბ პასნიანი

ერთობლიობა და მისი ჩანაწერი

წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ნივთების, რიცხვების, ასოებისა თუ სხვა რაიმე საგნების ჯგუფი ანუ ერთობლიობა. ერთობლიობა ჩაიწერება ფიგურული ფრჩხილებით { }.

მაგალითად, ქართული ანბანის პირველი ექვსი ასო ერთობლიობა ჩაიწერება ასე: {ა, ბ, გ, დ, ე, ვ}; ყველა ერთნიშნა ლუნი რიცხვის ერთობლიობა კი - ასე: {2, 4, 6, 8}.

ნახ. 1-ზე მოცემული სამკუთხედების ერთობლიობა ასე ჩაიწერება: {AEK, MNF}, ხოლო ამავე სამკუთხედების გვერდების ერთობლიობა კი ასე ჩაიწერება: {AE, EK, AK, MN, NF, MF}.



კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ, განსხვავებით რიგისგან, ერთობლიობის ჩანაწერისას სულერთია, თუ როგორი თანმიმდევრული ჩანაწერით ამ ერთობლიობის წევრებს.

მაგალითად, ერთნიშნა ლუნი რიცხვების ერთობლიობა შეიძლება ჩაიწეროს ასეც: {2, 4, 6, 8}, ან ასეც: {8, 4, 2, 6} და ა.შ. ისინი ყველა ერთი და იგივე ერთობლიობაა.

მთავარია, რომელი წევრები ეკუთვნის ერთობლიობას, ხოლო მათი თანმიმდევრობა - სულერთია.

ერთობლიობა შეიძლება იყოს ყოველნაირი: რიცხვების, ასოების, წერტილების, ქალაქების, მართკუთხედების, ხილის, ბავშვების, ხეების, სათამაშოებისა და სხვ. მაგალითად, ზოგიერთი ხილის ერთობლიობაა: {ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ქლიავი}, ხოლო ზოგიერთ საკრავთა ერთობლიობაა: {ფანდური, დოლი, სტიკრი, ვიტრაჟი}.

ერთწევრიანი ერთობლიობა: {თბილისი} - საქართველოს დედაქალაქების ერთობლიობაა, ხოლო {19, 0, 105, 4, 600} - ზოგიერთი მთელი რიცხვისა. როგორც ვხედავთ, შეიძლება განვიხილოთ და ჩავენროთ ისეთი ერთობლიობებიც, რომელთა წევრებიც კანონზომიერებით არაა გაერთიანებული. ერთობლიობა რიგს კი არ ჰგავს, არამედ - გროვას.

განსხვავებით რიგისგან, ერთობლიობაში არ შეიძლება იყოს ორი ერთი და იგივე წევრი! მაგალითად, {2, 8, 6, 3, 2} მცდარად ჩანს ერთობლიობაში; უნდა ყოფილიყო ასე: {3, 8, 6, 2}. მართლაც, რაკი ვიცით, რომ 3 არის ამ ერთობლიობის წევრი, მისი ორჯერ მითითება უაზროა! ისევე როგორც: თუკი ლუკა აბსანძე III კლასის მოსწავლეთა სიაში ირიცხება, მაშინ სიაში მისი სახელისა და გვარის გამეორება უაზრო იქნება.

ყოველი გეომეტრიული ნაკვთი არის სიბრტყის გარკვეულ წერტილთა ერთობლიობა; ხოლო სხეული - სივრცის გარკვეულ წერტილთა ერთობლიობა. გეომეტრიული წერტილის სიგრძე-სიგანე ნულის ტოლია (განსხვავებით ფურცელზე დასმული წერტილისგან, რომელიც ნამდვილი გეომეტრიული წერტილი კი არაა, არამედ მისი ნახაზია). ამიტომ თვით წერტილის გარდა, ყველა სხვა ნაკვთში უსასრულოდ მრავალი, უთვალავი წერტილია.

მათემატიკაში ერთობლიობას ეწოდება „სიმრავლე“ (თუმცა მასში შეიძლება მხოლოდ ერთი-ორი წევრი იყოს). ერთობლიობა ანუ სიმრავლე - მათემატიკის მთავარი და პირველადი ცნებაა.


ერთობლიობის ძველიმრავლე; ტოლქალაქიანი ერთობლიობანი; ვენის დიაგრამა

როცა ერთი E ერთობლიობა მოიცავს მეორე A ერთობლიობას, მაშინ A ერთობლიობას ეწოდება E ერთობლიობის ქვესიმრავლე. ამგვარად, A ერთობლიობა E ერთობლიობის ქვესიმრავლეა, თუკი A შედის E-ში; ანუ თუკი A-ს ყოველი წევრი E-ს წევრიაცა.



მაგ.: ქართველთა ერთობლიობა შედის ყველა ადამიანის ერთობლიობაში, ანუ ქართველთა ერთობლიობა ქვესიმრავლეა კაცობრიობისა; მართკუთხედების ერთობლიობა ქვესიმრავლეა ოთხკუთხედების ერთობლიობისა; მერცხლების ყოველგვარი ერთობლიობა ქვესიმრავლეა ყველა ფრინველთა ერთობლიობისა და ა.შ.

მაგრამ ერთობლიობა {a, c, e, m} არ არის {a, b, c, e, d, k, n} ერთობლიობის ქვესიმრავლე, რადგან პირველის ყოველი წევრი (მაგალითად m) არაა მეორის წევრი.



ასევე, სამკუთხედების ერთობლიობა არაა ოთხკუთხედების ერთობლიობის ქვესიმრავლე, ლუნ რიცხვთა ერთობლიობა არაა 5-ზე მეტ რიცხვთა ერთობლიობის ქვესიმრავლე და ა.შ.:



ამგვარ სქემებს ეწოდება ვენის დიაგრამა. იგი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ერთობლიობათა შორის მიმართებას - რომელი რომელს მოიცავს და სხვ. არც ფორმას მნიშვნელობა არა აქვს - შეიძლება დაგვეჩაზა წრიული, მართკუთხა ან სამკუთხა არხები, სულერთია.

მათემატიკაში ერთობლიობას მეორენაირად სიმრავლე ეწოდება. სწორედ ამ სახელწოდებისგანაა წარმოქმნილი სიტყვა „ქვე-სიმრავლე“.

ქვესიმრავლის ერთ-ერთი მაგალითია თვითონ მოცემული სიმრავლე: ყოველი სიმრავლე თავისთავის ქვესიმრავლეა.

ორი ერთობლიობის ტოლქალაქიანობა იმას ნიშნავს, რომ მათში ტოლი რაოდენობის წევრებია. მაგრამ ეს როგორ გავარკვიოთ? თუკი ერთობლიობაში ცოტა წევრია, მათ გადავთვლით. მაგრამ თუკი მრავალი, სულაც უთვალავი წევრია? ორ ერთობლიობას ეწოდება ტოლქალაქიანი, თუკი შესაძლებელია მათი წევრების ერთი-ერთზე შესაბამება (ანუ დაწყვილება) ზუსტად - ანუ ისე, რომ არც ერთი წევრი არ მორჩეს.

მათემატიკაში საოცარი რამეები ხდება. თუკი ერთობლიობა უსასრულოა, იგი ზოგი თავისი ქვესიმრავლის ტოლქალაქიანია. მაგ., ყოველი ორი მონაკვეთი, გრძელი და მოკლე, ტოლქალაქიანია, რადგან შესაძლებელია მათი წერტილების ზუსტად დაწყვილება. ამას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ნახაზი:



ე.ი. გრძელ მონაკვეთზე „იმდენივე“ წერტილია, რამდენიც - მოკლეზე!

ძველიმრავლეთან დაკავშირებული ტიპური შეცდომა

მაგ., მერცხალი არის ჩიტების ერთობლიობის წევრი; არცის ხე არის წიფის ხეების სიმრავლისა. მაგრამ მერცხლის კუდი არ არის ჩიტების ერთობლიობის წევრი; არცის ხის ტოტი არ არის ხეების ერთობლიობის წევრი. ასევე, მერცხლების კუდების ერთობლიობა არ არის ჩიტების ერთობლიობის ქვესიმრავლე; ხეების ტოტების ერთობლიობა არ არის ხეების ერთობლიობის ქვესიმრავლე! ამ ერთობლიობებს არც ერთი საერთო წევრი არა აქვს, რადგან არც ერთი ხე არ არის ტოტი:

ტოტებს ერთობლიობა ხეებს ერთობლიობა

რიცხვის ცნება - რაოდენობის რაობა

წარმოვიდგინოთ, რომ ვცხოვრობთ ქვის ხანაში და ჯერ არ ვიცით რიცხვები. ჩვენ გვხვდება მრავალი სხვადასხვა კონკრეტული წველი: ხელების წველი, ფეხების წველი, თვალების წველი, ყურების წველი, ადამიანების წველი, ხილის ნაყოფთა წველი, ჩიტების წველი და სხვა მრავალი. ყველა ამ წველს რაღაც საერთო თვისება აქვს. ეს საერთო თვისებაა მხოლოდ ერთი - რაოდენობა. სულ სხვაა ადამიანთა წველი და სულ სხვაა ბლის წველი, მაგრამ მათ საერთო აქვს - რაოდენობა ორი.

რიცხვი ორი - ესაა ის საერთო, რაც აქვს ყველა შესაძლო წველს. ასევე, რიცხვი ოთხი - ესაა ის საერთო, რაც აქვს ყოველგვარ საგანთა ყველა შესაძლო ოთხეულს (ამასთან, ეს ოთხეული შეიძლება იყოს გაფანტული ან შემჭიდროებული, მრგვალი ან მწკრივად განლაგებული და სხვ.). ასევე რიცხვი ცხრა - ესაა ის საერთო, რაც აქვს ყოველგვარ საგანთა ყველა შესაძლო ცხრაეულს. და ა.შ.

საზოგადოდ, ყოველი ნატურალური რიცხვი - ესაა ის საერთო, რაც აქვს ყოველგვარ საგანთა ყველა შესაძლო ტოლქალაქიან ერთობლიობას, ოღონდ სასრულს. ეს ერთობლიობა (ანუ სიმრავლე) შეიძლება იყოს წველი, ოთხეული, ცხრაეული, ოცეული, ასეული, მილიონ სამას ოცდაექვსეული და ა.შ.

ხოლო მათემატიკური საზრისი გამოთქმისა „ის საერთო თვისება“ - ესაა ტოლქალაქიანი სიმრავლეთაგან შედგენილი სიმრავლე. მაშასადამე, ნატურალური რიცხვი - ესაა ტოლქალაქიანი სასრულ ერთობლიობათა სიმრავლე.

ამასთან, ორი სხვადასხვა ერთობლიობის ტოლქალაქიანობის გარკვევას არ სჭირდება რიცხვების ცოდნა: საკმარისია, ამ ერთობლიობათა წევრები დავანწყვილოთ (მათემატიკურად - დავამყაროთ ურთიერთცალსახა ასახვა). თუკი დანწყვილების შედეგად არც ერთი წევრი არ მოგვრჩება, მაშინ რაოდენობანი ტოლი ყოფილა. თუკი ერთ-ერთი ერთობლიობიდან მოგვრჩება წევრები, მაშინ ამ ერთობლიობის წევრთა რაოდენობა ყოფილა მეტი (ეს უკანასკნელი ნინადადება მართებულია მხოლოდ სასრულ ერთობლიობათა შემთხვევაში, მაგრამ ყოველი ნატურალური რიცხვი ხომ სასრულია!).

ოთხეული უფრო კონკრეტული, ნივთიერი და თვალსაჩინოა, ხოლო ოთხი - უფრო განწყენებულია, უფრო აბსტრაქტულია. ოთხეული ყოველთვის რაღაცის ოთხეულია, ხოლო ოთხი არსებობს თავისთავადაც, საგნებისაგან განწყენებით. სხვათა შორის, ასევეა ნილადების შემთხვევაშიც: მესამედი - რაღაცის მესამედი ნაწილია, ხოლო 1/3 - აბსტრაქტულად რიცხვია და არსებობს თავისთავადაც, საგნებისაგან განწყენებით.

ასევე არსებითი სახელია ოთხიანი - შესაბამისი ციფრის სახელწოდება. იგიც კონკრეტულია, რადგან იწერება და მას უშუალოდ ვხედავთ.

მაშასადამე, ისტორიული და ფსიქოლოგიური თვალსაზ-

რისებით, რიცხვის ცნების განვითარების სქემა ამგვარია:

- კონკრეტული ერთობლიობანი, ანუ ყოველგვარ შესაძლო საგანთა გროვები
- ტოლქალაქიანი (დაწყვილებით) ერთობლიობანი - მაგ., ნივთიერი, თვალსაჩინო ოთხეულები
- ტოლქალაქიანი ერთობლიობათა საერთო თვისება - რიცხვი; მაგ.: რიცხვი და სიტყვა „ოთხი“
- ამ რიცხვის ჩანაწერი იდეობრაფიულ-სქემატურად - ოთხი წერტილის ან სხვა სახით;
- ამ რიცხვის აღნიშვნა პირობითი ნიშნით - ციფრით და ასე ჩანაწერი. მაგ.: ციფრი 4, ანუ „ოთხიანი“

(ერთმანეთში არ უნდა აიროს რიცხვი და ციფრი. როგორც ვიცით, ამ ტერმინებს ხშირად მცდარად ხმარობენ).

გრამატიკულად შევიდეთ, ოთხეული და სხვა - არსებითი სახელებია, პასუხობს შეკითხვას „რა?“. ხოლო ოთხი - ესაა რაოდენობა, რიცხვი, რომელიც პასუხობს შეკითხვას „რამდენი?“. ოთხი - რიცხვითი სახელია (ისევე როგორც მეოთხე). ასევე, გრამატიკულად შევიდეთ, „ოთხიანი“ და სხვა - არსებითი სახელებია, პასუხობს შეკითხვას „რა?“. მაგრამ „ოთხიანი“ არსებითად განსხვავდება მასსავით არსებითი სახელისაგან „ოთხეული“. საქმე ისაა, რომ „ოთხიანი“ - ესაა ციფრი 4, ანუ ჩანაწერი, ნიშანი, ხოლო „ოთხეული“ - რაიმე საგანთა ოთხეულია!

ჯერ გაცნობიერდა „ოთხეული“, შემდეგ - „ოთხი“, ბოლოს - „ოთხიანი“. მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანები ითვლიდნენ, ანგარიშობდნენ, სიგრძეს, დროს, წონასა და ფართობსაც კი ზომავდნენ ისე, რომ არ წერდნენ ციფრებს. რაოდენობას თავდაპირველად აღნიშნავდნენ არა ციფრით, არამედ შესაბამისი გროვებით, მაგალითად:

ერთი	ორი	სამი	ოთხი	ხუთი	მეხუთი	...	ათი	თერთმეტი	...
.	xx	xx.	xx.

აღვწეროთ რიცხვის ცნების ერთი კერძო, თუმცა ფრიად მნიშვნელოვანი მხარე. გავიზაროთ, რატომაა, რომ, მაგ., ხუთი მეტია, ვიდრე სამი. ჩვეულებრივ, მკონიათ, რომ ხუთი იმიტომაა სამზე მეტი, რომ ნატურალურ რიცხვთა რიგში სამი უსწრებს ხუთს. ეს არსებითად მცდარი აზრია. იგი გულუბრყვილოდ გულისხმობს იმას, რომ თითქოს რიცხვთა რიგი იმთავითვე გამზადებულად იყო მოცემული ადამიანის გონებაში. დავფიქროდეთ: თვით რიცხვთა რიგში რიცხვების დალაგება საიდანღა წარმოიშვა?

სინამდვილეში ვითარება პირიქითაა. სამი იმიტომ უსწრებს რიცხვთა რიგში ხუთს, რომ სამი ნაკლებია ხუთზე. ხოლო სამი კი იმიტომაა ხუთზე ნაკლები, რომ სამეულისა და ხუთეულის დაწყვილების შედეგად ხუთეულს მორჩება ორი წევრი.

მაშასადამე, ხუთი იმიტომ კი არაა სამზე მეტი, რომ რიცხვთა რიგში მის შემდეგაა, არამედ პირიქით: ხუთი იმიტომაა რიცხვთა რიგში სამის შემდეგ, რომ მასზე მეტია. მეტობა კი შესაბამისი ერთობლიობათა დაწყვილების შედეგად ირკვევა.

- დათვალეთ ვენის დიაგრამები ამ სტატიაში. რამდენია? საითაოდ ჩამოთვალეთ!
- სწორი პასუხი: 5
- აქ ჩამოწერილ ხილთა ერთობლიობებიდან წინასწარ გამოირიცხეთ (გადახაზეთ) ის ერთი, რომელიც მცდარადაა ჩანს; შემდეგ მოისაზრეთ, დარჩენილ ერთობლიობათა შორის რომელია დანარჩენთაგან გამოირჩეული: A = {ვაშლი, ბალი, ატამი, ლეღვი} E = {მსხალი, კომში, ატამი, კომში} B = {ბალი, ატამი, ლეღვი, ვაშლი} D = {ბალი, ატამი, ვაშლი, ლეღვი} G = {ვაშლი, ლეღვი, ატამი, ბალი} T = {ატამი, ვაშლი, კომში, ლეღვი} V = {ლეღვი, ვაშლი, ატამი, ბალი} Z = {ვაშლი, ატამი, ლეღვი, ბალი}
- სწორი პასუხი: E და T
- გაარკვიეთ, წინა ამოცანის ასარჩევ პასუხებში სულ რამდენი სხვადასხვა ერთობლიობაა.
- სწორი პასუხი: 3
- გაარკვიეთ, შემდეგთაგან რომელი შეესაბამება მოცემულ {2, 3, 5, 7} ერთობლიობას: ა) 10-ზე ნაკლებ რიცხვთა ერთობლიობა; ბ) 10-ზე ნაკლებ კენტ რიცხვთა ერთობლიობა; გ) ზოგიერთ ციფრთა ერთობლიობა; დ) 10-ზე ნაკლებ ყველა მარტივ რიცხვთა ერთობლიობა; ე) 8-ზე ნაკლებ ზოგიერთ რიცხვთა ერთობლიობა; ვ) ყველა ციფრთა ერთობლიობა.
- სწორი პასუხი: დ

პედაგოგთა დასახარებლად

5. ვენის დიპლომის საშუალებით გაარკვეით, რომელი წინადადებაა მართებული:

- ა) სამკუთხედების სიმრავლე არაა მრავალკუთხედების სიმრავლის ქვესიმრავლე;
- ბ) ყველა ტრაპეციათა სიმრავლე სიმეტრიული ნაკვეთების სიმრავლის ქვესიმრავლეა;
- გ) მტაცებელ ცხოველთა ერთობლიობა მელიების ერთობლიობის ქვესიმრავლეა;
- დ) კვადრატების სიმრავლე მართკუთხედების სიმრავლის ქვესიმრავლეა;
- ე) გემების ერთობლიობა ყველა ტრანსპორტის ერთობლიობის ქვესიმრავლეა;
- ვ) გემების ანძების ერთობლიობა ყველა გემის ერთობლიობის ქვესიმრავლეა;

ზ) იმ საგნების ერთობლიობა, რომელთა გაკვეთილებიც ტარდება სკოლებში, მეცნიერების დარგების ერთობლიობის ქვესიმრავლეა.

სწორი პასუხი: გ) და დ)

6. შემდეგთაგან რომელი ერთობლიობაა ადამიანის ორივე ხელზე თითების ერთობლიობის ტოლძალღოვანი?

- ა) მრავალწიშნა რიცხვებში თანრიგებისა;
- ბ) ზოგიერთ რიცხვში ათეულთა რაოდენობისა;
- გ) მართკუთხედის ყველა გვერდისა და წვეროსი;
- დ) რომაული ციფრ-ნიშნებისა;
- ე) ჩვეულებრივი არაბული ციფრებისა.

სწორი პასუხი: ბ)

7. ზოგ ენაში არც ერთი რიცხვითი სახელი არ მოიცავს „და“ კავშირს, ზოგში – ზოგიერთი მოიცავს. აღმოაჩინეთ კანონზომიერება ქართულ რიცხვით სახელებში – რომლები მოიცავს:

- ა) ორნიშნა და სამნიშნა რიცხვები (გარდა ზუსტი ოცეულებისა და ზუსტი ასეულებისა);
- ბ) რიცხვები 20-დან 100-მდე, გარდა ზუსტი ოცეულებისა;
- გ) ორნიშნა რიცხვები (ცალკეც და სხვა რიცხვის შემადგენლობაშიც);
- დ) რიცხვები 20-დან 100-მდე, გარდა ზუსტი ოცეულებისა (სხვა რიცხვის შემადგენლობაშიც);
- ე) მრავალწიშნა რიცხვები (გარდა ზუსტი ოცეულებისა და ზუსტი ასეულებისა).

სწორი პასუხი: დ)

სამოქალაქო განათლება

ინტერაქტიული სწავლა-სწავლება



ნონა ჯივია

დღეს ხშირად უპირისპირებენ ტრადიციულ და თანამედროვე პედაგოგიკას სასწავლო პროცესისა და მონაწილეობის ფუნქციების განსხვავებების მიხედვით. სწავლის ტრადიციული გაგება კარგად ჩანს დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთაში“, სადაც მიზნის მიღწევის საშუალებები ნებისყოფის დაძაბვა, მძიმე სამუშაო და მხოლოდ ცოდნაზე ორიენტირებულ მიდგომებში იყო, მსგავსად საბჭოთა პერიოდის სკოლებისა, სადაც სასწავლო პროცესის უპირობო ლიდერი იყო მასწავლებელი. ამიტომაც ჰქვია სწავლების ტრადიციულ სისტემას მასწავლებელზე ორიენტირებული და ავტორიტარული. განსხვავებით, ინტერაქტიული სწავლა-სწავლება არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც გულისხმობს ავტორიტარული, მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეთა ორიენტირებულით. იგი საჭიროებს სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასებების ახალი ხერხების დანერგვას, რაც შესაბამისად, სწავლების მიზნებსაც ცვლის. ტრადიციული პედაგოგიკისაგან განსხვავებით, ინტერაქტიული სწავლება ორიენტირებულია არა მარტო ცოდნაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამოუმუშავებაზეც.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში დღის წესრიგში დადგა სწავლების მეთოდის ცვლილება და თეორიული ცოდნის მიღებაზე მნიშვნელოვანი გაზაფხულის მონაწილეობით აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კვლევის, დამოუკიდებლად ორიენტირების და სხვა მნიშვნელოვანი უნარების განვითარება. უნარების განვითარებისათვის აუცილებელია მოსწავლეს ჰქონდეს თავისუფლების მაღალი ხარისხი, იყოს აქტიური და აინტე-

რესებდეს სწავლის პროცესს. ეს მიღწევადაა, თუ მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ვინაიდან ინტერაქტიული სწავლების პროცესის მთავარი პირი, სწავლება-სწავლის აქტიური მონაწილე მოსწავლეა, მისი სწავლის საფუძველს პირადი გამოცდილება, არსებული ცოდნა და პიროვნული მახასიათებლები წარმოადგენს. როგორც მოგეხსენებათ, სწავლება-სწავლის ეს ახალი მიდგომა ეფუძნება მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თეორიას – კონსტრუქტივიზმს, რომლის ძირითადი იდეაა, ძველი და ახალი ცოდნის შეჯვარებით, განსწავლეთ მოსწავლეებს ახალი ინფორმაციის მოპოვება, აზროვნება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, ცოდნის კონსტრუირება-შენება. კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ლევ ვიგოტსკის თქმით, მოსწავლე არის პატარა შეგირდი, რომელსაც მასწავლებელი ეხმარება გამოცდილების მიღებაში.

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ფორმები იძლევა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. ამ მეთოდებისათვის კი არსებული ეს-გ-ს მორგება შემოქმედებითად აქცევს მასწავლებელს. ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი თეორეტიკოსის, ი. ივიჩის აზრით, ინტერაქტიული მეთოდის კონკრეტული ვერსიის ავტორი თვით მასწავლებელია. თუმცა სწავლების მრავალი ხერხი და მეთოდი თქვენთვის ცნობილია, ვეცდები ეტაპობრივად შემოგთავაზოთ ინტერაქტიული სასწავლო მეთოდების გამოყენების ხერხები, სამოდლო ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, შეფასების რუბრიკები და ა.შ. ამჯერად გთავაზობთ ტრადიციული და ინტერაქტიული გაკვეთილების შედარებას:

ტრადიციული გაკვეთილი	ინტერაქტიული გაკვეთილი
მიზანი: ✓ გაკვეთილი ორიენტირებულია მხოლოდ ცოდნაზე	მიზანი: ✓ გაკვეთილი ორიენტირებულია ცოდნაზე, უნარ-ჩვევების შექმენასა და დამოკიდებულებების შექმენაზე
დრო: ✓ მასწავლებელი მოსწავლეზე მეტს საუბრობს ✓ სწავლების ობიექტია ზოგადად მთელი კლასი (იშვიათად თითოეული მოსწავლე ან მცირე ჯგუფი) ✓ გაკვეთილზე დროის განაწილება ყოველთვის ერთნაირი, მკაცრად განსაზღვრულია ✓ მასწავლებელი უფრო ხშირად მიმართავს მხოლოდ ერთ საინფორმაციო წყაროს, ჩვეულებრივ, სახელმძღვანელოს	დრო: ✓ მოსწავლეს საპასუხოდ უფრო მეტი დრო ეთმობა, ვიდრე მასწავლებელს ✓ სწავლება კლასში, ძირითადად, ინდივიდუალურად ან მცირე (2-6 მოსწავლე) ჯგუფებში მიმდინირეობს ✓ დროის განაწილების თვალსაზრისითაც, მეტი იმპროვიზაციისა და შემოქმედებითობის საშუალებაა ✓ მასწავლებელი, სახელმძღვანელოს გარდა, იყენებს სხვა საინფორმაციო წყაროებს, რაც ცოდნის განმტკიცებას უწყობს ხელს
გაკვეთილის ეტაპები: 1. საორგანიზაციო ნაწილი 2. დავალებების გამოკითხვა 3. ახალი მასალის ახსნა 4. განმტკიცება, საშინაო დავალებების მიცემა	გაკვეთილის ეტაპები: 1. პროვოცირება-გამოწვევა 2. სიღრმისეული წვდომა 3. გააზრება-რეფლექსია
დახურული კითხვები	ღია კითხვები
შეფასება: ✓ შეპირი გამოკითხვისა და წერილი სამუშაოს შეფასება მხოლოდ ნიშნით	შეფასება: ✓ შეფასება ნიშნით ✓ ტესტით ✓ რუბრიკებით ✓ საქალაქის შექმნით (პორტფოლიო) ✓ თვითშეფასება
საკლასო გარემო: საკლასო ოთახში მერხები და სკამები რიგებდაა არის განლაგებული; ინტერიერი სტატიკურია	საკლასო გარემო: საკლასო ოთახი მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად (მაგიდების, სკამებისა და მერხების განლაგება ხშირად იცვლება)
	სწავლა-სწავლების ახალი მიდგომები: ✓ ინფორმაციის ცოდნად ქცევა ✓ კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება ✓ გადაწყვეტილების მიღების უნარი (დამოუკიდებლობა, ინიციატივა) ✓ პასუხისმგებლობის გრძობის გამოუმუშავება ✓ თვითშეფასების უნარი ✓ ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რა ვიცით, არამედ, როგორ გამოვიყენოთ ცოდნა. „ისწავლი უკეთ, როცა გეცოდინება, რისი სწავლა გინდა და როგორ“ /ჯონ დევი/
მასწავლებელი – ავტორიტარი	მასწავლებელი – თანამშრომელი

მოზარდებზე სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ მიერ შექმნილი მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ დაყრდნობით

ინფორმაცია

სანახაობრივი მსვლელობა

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობისა და სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელების მიზნით, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“, „ესტონეთის წარმატებული გამოცდილების გაზიარება საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების მხარდასაჭერად პროექტის“ ფარგლებში, ქართულ-ესტონური სამომავლო პერსპექტივები განიხილეს.

კონფერენციის დასრულების შემდეგ, ქართველმა და ესტონელმა პროფესიული განათლების წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, სანახაობრივი მსვლელობა მოაწყვეს. ფესტივალის მონაწილეები საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმს ესტუმრნენ, სადაც საქართველოში ხელოსნობის განვითარების კუთხით არსებული ექსპონატები დაათვალიერეს და უძველეს ქართულ ხელნაკეთ კულტურულ ფასეულობებს გაეცნენ.

კონფერენცია, რომელიც მსვლელობით დასრულდა, ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მხარეებმა, ორ ქვეყანას შორის ათწლიანი წარმატებული პარტნიორობის ფორმატში, პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები, პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევები და სამომავლო

თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: „სიმბოლურია, რომ პროფესიული განათლებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ჩვენი ესტონელი კოლეგები ეწვევიან საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, სადაც დაცულია ქართული ხელოსნობის ისტორია. სტუმრებს დავათვალიერებინეთ და გავაცანით არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული, ძვირფასი ლითონისა და ქვების ნაკეთობები. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართული ხელოსნობის ისტორიის ნიმუშებმა. მათ მიაჩნიათ, რომ სწორედ ასეთ ისტორიაზე, ძლიერ ტრადიციებზე შეიძლება დავაშენოთ თანამედროვე პროფესიული განათლება, რომელიც იქნება ევროპული სტანდარტების შესაბამისი. ესტონელ კოლეგებთან ერთად ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე და შევთანხმდით, რომ აუცილებლად გვექნება ერთობლივი პროგრამები, გვექნება სტუდენტებისა და მასწავლებლების გაცვლის შესაძლებლობა. ქართველი სტუდენტები გაემგზავრებიან ესტონეთში და იქ მიიღებენ პროფესიულ განათლებას. ეს იქნება ერთობლივი ღონისძიებ-

ები, რაც აუცილებლად გამოიღებს შედეგს და გააუმჯობესებს პროფესიული განათლების ხარისხს“.

ლეა ორო, საერთაშორისო თანამეგობრობის ფონდის „ინოვა“ დირექტორი: „პროფესიული განათლების მიღება საუკეთესო შესაძლებლობაა ახალგაზრდებისთვის. უკვე 10 წელია, ქართველ კოლეგებს, პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, გამოცდილებას ვუზიარებთ. მათთან ერთად ვმუშაობთ პროფესიული განათლების სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, პედაგოგთა გადამზადებაზე, რადგან პედაგოგებს მუდმივად სჭირდებათ განვითარება. მოხარული ვართ, რომ ქართულ პედაგოგებს ეძლევათ შესაძლებლობა გადამზადება გაიარონ ესტონეთში. ეს ყველაფერი საამაყო როგორც ქართველი, ისე ესტონური მხარისთვის“.

დავით მჭედლიშვილი, საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორი: „ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმის ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანია ევროპული გამოცდილების გადმოტანა ჩვენს სისტემაში და ვფიქრობ, ყველა კოლეჯისთვის პერსპექტიულია იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც ესტონელებს უკვე აქვთ, განსაკუთრებით პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების კუთხით“.

ქვეყნის წარმატების ამოსავალი პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქეა

რუბრიკის სტუმარი
ანა აბესაძე, ტალინის
უნივერსიტეტის სტუდენტი



– ანა, საუბარი მოსწავლეობის პერიოდით დაიწყო. ვიცი, რომ სკოლაში საკმაოდ აქტიური და წარჩინებული მოსწავლე იყავი. რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში სკოლაში გატარებულ წლებს, განსაზღვრა თუ არა სკოლა შენი პროფესიული მომავალი?

– ტყიბულის პირველ საჯარო სკოლაში სწავლის პერიოდი ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეტაპია ჩემს ცხოვრებაში, დატვირთული ბევრი ჩემთვის ძვირფასი მოგონებით. სკოლაში, არაჩვეულებრივი პედაგოგიური კოლექტივის დახმარებით, წარმატებით მოახერხა გამოემუშავებინა ჩემში ის უნარ-ჩვევები, რამაც განაპირობა ჩემი წარმატებულ სტუდენტად ჩამოყალიბება. ყოველთვის ფრიადოსანი ვიყავი, რის გამოც პრეზიდენტისგან კომპიუტერულ მივიღე საჩუქრად. თუმცა, არ მოგატყუებთ, მაღალი პასუხისმგებლობის გრძობის გამო დავალეხე ყოველთვის ვასრულებდი, მაგრამ მე და მათემ ატიკა ვერასდროს ვუგებდით ერთმანეთს.

ბავშვობიდან მიყვარდა ამერიკა და ოცნებად მქონდა იქ სასწავლებლად წასვლა, რამაც ჩემი ინგლისური ენისადმი ინტერესი და სიყვარული განაპირობა. ჩართული ვიყავი მშვიდობის კორპუსის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ამერიკულ ბანაკებში. სახლში დაბრუნებისას, მეგობრებთან ერთად, სკოლაში ჯერ გლოუ (გოგონები – ჩვენი მსოფლიოს ლიდერები) კლუბი დავაარე, შემდგომ – ეკოლოგიური კლუბი, ქალაქის მასშტაბით კი – კლუბი „გამოცდილება – გახდე პროფესიონალი“. ვიყავი სესიების ტრენერი და კლუბის პრეზიდენტი. ჩემი აქტიურობა ადგილობრივმა ორგანიზაციამ, „ტყიბულის განვითარების ფონდმა“, შეამჩნია და კლუბისთვის გრანტი, ხოლო ორგანიზაციისთვის ინგლისურის კურსების ხელმძღვანელობა შემომთავაზა.

– სკოლის დამთავრების შემდეგ, მომავალ ლიდერთა პროგრამის სტიპენდიის ფარგლებში, სწავლობდი დასავლეთ მაგნოლიის სკოლაში, ტეხასში. მიახლოე ამ პერიოდის შესახებ?

– ეს იყო ჩემი ახდენილი ოცნება, რომელიც ლამაზი ზღაპარით მახსენდება. როგორც FLEX-ის პროგრამის ერთ-ერთმა გამომწვევებულმა, ერთი წელი გავატარე ამერიკაში, მასპინძელ ოჯახში. ძალიან გამიმართლა, არაჩვეულებრივი ოჯახი შემხვდა, ისინი არაერთხელ იყვნენ საქართველოში და წელს ისევ მიმიწვიეს ამერიკაში.

ამერიკაში ვსწავლობდი მე-12 კლასში, პარალელურად სხვადასხვა კლუბების აქტიური წევრი ვიყავი. პირველ სემესტრში – ჯერ სკოლის გაზეთის რედაქტორის ასისტენტი, შემდგომ კი – რედაქტორი. ყველაზე კარგად სკოლის ფეხბურთის გუნდში თამაში და სეზონის პირველი გოლი მაგონდება, რომელიც სულ შემთხვევით გავიტანე. თუმცა, მოტივაცია ამერიკელი მწვრთნელის დაპირებაც გახდა, თუ სეზონის პირველ გოლს გავიტანდი, სტადიონზე საქართველოს ჰიმნი ჩართვებოდა. პროგრამის ფარგლებში, შესაძლებლობა მქონდა, სხვადასხვა ადგილებში მოხალისედ მემუშავა. რადგან მოთხოვნილ ლიმიტზე ოთხჯერ მეტი სამოხალისეო საათი მქონდა, პრეზიდენტ ბარაკ ობამას ჯილდო დავიმსახურე სამოქალაქო ჩართულობისათვის. თუმცა, დროს უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, უფრო მეტ დროს იმ ადამიანებს დავუთმობდი, რომელთაგანაც ძალიან ვარ დავალებული.

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ესტონეთში, კერძოდ, ტალინის უნივერსიტეტში. რა პროგრამით გაემგზავრე და რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?

– თავდაპირველად, ამერიკაში ვაპირებდი დაბრუნებას მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად. ჩემი სააპლიკაციო პროცედურებიც პოზიტონში არსებულ, ტოპ ოცეულში მყოფ, რაისის უნივერსიტეტისთვის (Rice University) იყო გამიზნული. თებერვალში ტეხასში ვავიარე გასაუბრება. უნივერსიტეტმა, რომელსაც სამხრეთის ჰარვარდს

უწოდებენ, მსოფლიოს ოც სტუდენტთან ერთად, მიმიღო საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. იმის გამო, რომ უნივერსიტეტი გრანტს არ გასცემს და გარე გრანტებისთვის საკმაოდ დამიგვიანდა, არჩევანი შევიცვალე – ერასმუს მუნდუსის (ჰერმეს) პროგრამიდან მომივიდა პასუხი, რომ მიმიღეს ტალინის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ორწლიანი მაგისტრატურაზე, სრული დაფინანსებით და საკმაოდ დიდი სტიპენდიით. ამ შესაძლებლობაზე უარს თქმას ვერასდროს ვაპატიებდი ჩემს თავს, მით უმეტეს, რომ რისკის მეშინია. ახლა ვფიქრობ, ეს უკეთესი ვარიანტი იყო ჩემთვის.

– რა წესით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები და ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს თუ არა სტიპენდია სტუდენტის მოთხოვნებს?

– ტალინის უნივერსიტეტი დამოუკიდებლად იღებს (ყოველგვარი გარე პროგრამის გარეშე) წარჩინებულ სტუდენტებს და ყოველთვის სტიპენდიებს გამოუყოფს, რომელიც აქ ცხოვრებისთვის საკმარისია. დაფინანსება შესაძლებელია მოიპოვო ესტონეთის მთავრობისგან, რომელიც მონიშნავს უცხოელი სტუდენტებისთვის გამოყოფს გრანტებს. ასევე, ტალინის უნივერსიტეტი, ევროპის სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს პირველი სემესტრი სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში გაიარონ.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მონიშნულ უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით. რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, მექანიკისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ, რა მსგავსება და განსხვავებაა ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებსა და ქართულს შორის?

– ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ცოტა გამიჭირდება, რადგან სამართლიანი არ იქნება კონკრეტული მაგალითების გავრცობა ყველა უნივერსიტეტზე. თუმცა, ტალინის უნივერსიტეტის მაგალითზე შემიძლია გითხრა, რომ, პირველ რიგში, ეს არის სტუდენტზე მორგებული მოხერხებული გარემო – ე.წ. „სასწავლო ოთახები“ 11 საათამდე მუშაობს, ანუ იმ შემთხვევაში, თუ სახლში არ გაქვს სამეცადინო გარემო ან ინტერნეტი, ეს სულაც არ გიშლის ხელს სწავლაში. სასწავლო ოთახი შაბათ-კვირასაც მუშაობს. უნივერსიტეტში არაჩვეულებრივი ბუფეტია, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი ფასებით. მეორე, რაც ასევე მომეწონა, მოხერხებული გრაფიკა, რომელიც სწავლის პარალელურად, მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. არის პროგრამები, რომლებიც, მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტს ნატოს და ევროკავშირის ოფისებში სასწავლო ვიზიტების საშუალებას აძლევს. ასევე, არ მინდა გამომჩრჩეს სასწავლო

კოორდინატორები, რომლებიც მზად არიან, ნებისმიერ დროს, ინდივიდუალური დახმარება გაუწიონ სტუდენტს.

– რა შეხება აქაურ პროფესორებს, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ქართველი პროფესორები რამით ჩამოუვარდებიან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, პოლიტიკური მეცნიერების სპეციალობით. ყველა ჩვენი პროფესორი ნამდვილი პროფესიონალი იყო, ცოდნითა თუ მიდგომებით.

– რა როლი უჭირავს ესტონეთში (ტალინში) საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– ეს საკითხი ნამდვილად იმსახურებს აღნიშვნას. ორი რამ განსაკუთრებით მომეწონა: პირველი – სასწავლო წიგნების გამოტანა ტალინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან შესაძლებელია სრულიად უფასოდ, მთელი სემესტრის განმავლობაში; მეორე – ბიბლიოთეკას აქვს ინტერნეტყარობები, აკადემიური ლიტერატურა, რომელთან წვდომაც, სტუდენტის სტატუსის ფარგლებში, უფასოა, ანუ სამაგისტრო ნაშრომის წერისას, ჩემთვის უფასო იქნება დიპლომატიური სტატიები და წიგნები, რომელთაც ფასი, ზოგ შემთხვევაში, 100 დოლარს უდრის.

– ანა, სხვადასხვა დროს, მუშაობდი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე საერთაშორისო ბანაკში... მიამბე შენი სამუშაო გამოცდილების შესახებ. სწავლის პარალელურად, ამჟამად რა საქმიანობას ეწევი?

– ჩემი ხუთწლიანი შრომითი გამოცდილება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე, საერთაშორისო ბანკს მოიცავს. ვმუშაობდი შემდეგ ადგილებსა და პოზიციებზე: ტყიბულის განვითარების ფონდი (ინგლისური ენის კურსების ხელმძღვანელი), ამერიკული საბჭოები საერთაშორისო განათლებისათვის (ქალაქის წარმომადგენელი, ფლექს პროგრამის კურსდამთავრებულთა კოორდინატორის ასისტენტი, ქალაქის წარმომადგენელთა პროგრამის ასისტენტი, გამგზავრების ნინა ორინტაციის მასწავლებლის ასისტენტი, რეგიონული ფორუმის სპეციალური ასისტენტი), საერთაშორისო სპარკ პროგრამა (პროგრამის დირექტორის თანაშემწე), ფინკა ბანკი (ადამიანური რესურსების კლერკი), პარლამენტში (პრაქტიკანტი) ევროკავშირის პროგრამა, ასევე, ვმუშაობდი თურქეთისა და ბულგარეთის ორგანიზაციებში.

ძალიან მიყვარს ჩემი ბოლო სამსახური, ამიტომ მასზე ცოტა უფრო მეტს გეტყვი. 2014-2015 წლებში ვმუშაობდი გლოუ საქართველოში, გლოუს ელჩების პროგრამის კოორდინატორად. ეს არაჩვეულებრივი პროგრამაა სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც ცდილობენ, იყვნენ ცვლილების აგენტები თავიანთი თემებისთვის საგანმანათლებლო, საქველმოქმედო თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მინდა ჩემ ელჩ გოგონებს ვუთხრა, ძალიან ვამაყობ მათი საქმიანობით. ისინი ხშირად მეუბნებოდნენ, რომ მათთვის

მაგალითი ვიყავი, თუმცა, მე პირქით ვფიქრობ – ისინი უფრო შთამაგონებდნენ.

– ამჯერად შეტანილი მაქვს აპლიკაცია საგარეო საქმეთა სამინისტროში სტაჟირებაზე. თუ შესაძლებლობა მომეცა, ვიმუშავებ გამოცდილ დიპლომატებთან ერთად, ესტონეთში საქართველოს საელჩოში. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეა ახვლედიანი, პროფესიონალიზმთან ერთად, არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს ჩემი პირველი დიპლომატიური გამოცდილება იქნება.

– საკმაოდ კარგი მიღწევები გაქვს. იყავი პრეზიდენტის სტიპენდიანტი საბაკალავრო პროგრამის დროს, ფლობ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდოს – „მედალს აქტიური სამოქალაქო ჩართულობისა და მოხალისეობისათვის“, ასევე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაგისტრის ნერის EducationUSA-ისთვის განუვლი სამსახურისათვის. თავად რას მიიჩნევ ყველაზე დიდ წარმატებად?

– რა თქმა უნდა, თითოეული ჯილდო ჩემთვის ღირებულია, რადგან მათ უკან დიდი შრომა და მონდომება დგას. თუმცა, მთავარი ის ადამიანები არიან, რომლებიც წარმატებისა თუ წარუმატებლობის დროს ჩემ გვერდით დგანან, მათ გულშემატკივრობას და სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობ, განსაკუთრებით – მშობლები, რომელთა დამსახურებაცაა ყველა ჩემი მიღწევა და ჩემი და, რომელსაც პატარა ბავშვივით უხარია ჩემი წარმატებები. ამ მიღწევების უკან ბევრი წარუმატებლობა, უშედეგო მცდელობა იყოს, თუმცა ისინი ყოველთვის მამხნევედნენ და ჩემთან იყვნენ.

– ანა, დამეთანხმები ალბათ, რომ განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სურს თავის პერსონალურ რეზიუმეში „ოქროს ასობით“ შეავსოს განათლების გრაფა, არჩევანს უცხოეთზე აკეთებს. თუმცა, საერთაშორისო განათლების სამყაროში შესასვლელად შესაძლოა ახალგაზრდებს გზა ადვილად აგროთ. სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ძნელია. რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ...

– შეიძლება ძალიან არაადეკვატურია ჩემგან ამაზე საუბარი, მაგრამ ვფიქრობ, კარგი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ წასვლა სულაც არ არის ერთადერთი ალტერნატივა. საზღვარგარეთ სწავლა რაშიც გეხმარება, ეს არის ცხოვრებისეული უნარების შექმნა, ენის ცოდნის მეცნიერულ დონეზე გაუმჯობესება, საერთაშორისო გამოცდილება და კონტაქტები, რაც პროფესიულ ნინსელაში დაგეხმარება.

– უცხოურ უნივერსიტეტებში ჩაბარება

ინფორმაცია

ერთობლივი სწავლება უკეთესი კვალიფიკაციებისთვის

არც ისე ადვილია. ჩემი გამოცდილებიდან რამდენიმე რჩევას მივცემ საზღვარგარეთ ცოდნის მიღების მსურველ ქართველ სტუდენტებს: 1. „ცდა ბედის მონახვერია“ (მეოცნებებშიც ვერ ვიფიქრებდი რაისის უნივერსიტეტში მიღებაზე) და არასდროს თქვათ უარი დიდ უნივერსიტეტებზე, თუ ეს ნაადვილად გინდათ. თუმცა, იყავით რეალისტები და ეცადეთ სხვადასხვა დონის, ბევრ უნივერსიტეტში გააგზავნოთ მიღების განაცხადები; 2. მოიძიეთ ინფორმაცია სასწავლო პროგრამებზე პირადი კონტაქტებიდან, ინტერნეტიდან, უნივერსიტეტიდან, ორგანიზაციებიდან, ყველა შესაძლო რესურსიდან; 3. აუცილებლად შეამოწმეთ ერასმუს მუნდუსის პროგრამების კალენდარი ინტერნეტში, რომელიც სხვადასხვა პროგრამებს სთავაზობს ქართველ ახალგაზრდებს. როგორც ვიცით, საქართველოშიც არსებობს პრემიერ-მინისტრის ფონდი, რომელიც გრანტებს გამოყოფს წარჩინებული ქართველი სტუდენტებისთვის.

– სად და როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? მიაბნე, როგორ ცხოვრობენ ესტონელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, როგორია ესტონური სტუდენტური ცხოვრება?

– კონკრეტულად ესტონელ სტუდენტებზე საუბარი გამიჭირდება, რადგან კურსელების უმეტესობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდანაა. თუმცა, რაც შეეძენი, საკმაოდ მეგობრული არიან და იციან დროის განაწილება სწავლასა და გაართობას შორის, რაც მე ძალიან მიჭირს. თავისუფალი დროის გასატარებლად თავად უნივერსიტეტი დიდ არჩევანს გვთავაზობს, დაწყებული სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებით, დამთავრებული სპორტით. ჩემი თავისუფალი დროის უმეტესობას (რომელიც ვერ ძალიან ცოტა მაქვს) ვუთმობ იოგას და მოგზაურობას როგორც ესტონეთის შიგნით, ისე ევროპის ქვეყნებში.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებთ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს საქართველოში დასაქმებაში?

– სამუშაო გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მთელი გულით გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ. ამას სკოლის პერიოდშიც ვაცნობიერებდი და სწორედ ამიტომ დავაარსე კლუბი „გამოცდილება – გახდეთ პროფესიონალი“, რომლის მთავარი აზრი იყო პროფესიის სწორად შერჩევა, შესაძლებლობების და სურვილის გათვალისწინებით. ჩემი თავი ან საელჩოში (ძალიან მაინტერესებს საკონსულტაციო საქმე), ან საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენელი, საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორად.

ამერიკაშიც ვამბობდი და აზრი არ შემიცვლია, ცხოვრებას ნამდვილად საქართველოში ვაპირებ. როგორც ვიცით, საზღვარგარეთ განათლებას ქართული სამუშაო ბაზარი აფასებს. ალბათ მეც გამომართლებს, თუმცა, ისეთი სტუდენტებიც მინახავს, რომლებმაც განათლება პრაქტიკულად ვერ გამოიყენეს. კარგი განათლება მხოლოდ ერთ-ერთი კრიტერიუმია, გარდა ამისა, სხვა უნარ-ჩვევებიცაა საჭირო, როგორცაა, მაგალითად, ენების ცოდნა და სხვ.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც ესტონეთში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?

– საქართველოზე ფიქრები განსაკუთრებით გაძლიერებული მქონდა ამერიკაში, რადგან ძალიან შორს ვიყავი და ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელი იყო. აქ ეს შედარებით ნაკლებად მაწუხებს ან ვერ საკმარისი დრო არ გასულა. ძალიან ძნელია ამაზე წინასწარ საუბარი, მაგრამ რასაც ამერიკაში და აქ ყოფნის დროსაც მივხვდი, ქვეყნის წარმატების ამოსავალი პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქეებია, მაშინაც კი, როცა სისტემაში თავიდან არიდების თავისუფლებას მოგცემს. ვფიქრობ, ეს დიდი ნაბიჯი იქნება ევროპისაკენ მიმავალ გზაზე.

ესაუბრა მანა ყიფიანი

ბათუმში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს რეგიონული კონფერენცია „ერთობლივი სწავლება უკეთესი კვალიფიკაციებისთვის“ (Mutual learning for better qualifications) გაიმართა. ღონისძიება აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა №4-ის ფარგლებში, ევროპული განათლების ფონდის (ETF) ორგანიზებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა. კონფერენციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, ევროკავშირის წარმომადგენლები საქართველოში, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვისა და ბელარუსის განათლების სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებისა და მოდერნიზების მიზნით, რაც დაეხმარება მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს, შექმნან ერთიანი პლატფორმა, მოახდინონ სისტემაში არსებული ბარიერების იდენტიფიცირება და გაუზიარონ წარმატებული მაგალითები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს. დისკუსიის ფორმატში, კონფერენციაზე, მონაწილეებს შესაძლებლობა შექონდათ ვაცნობოდნენ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში თანამედროვე ტენდენციებს, რათა უკეთ დაეგეგმონ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს იმპლემენტაციის პროცესი, არაფორმალური და ფორმალური განათლების

ალიარების კონტექსტში. რეგიონულ კონფერენციაზე ასევე განხილული იყო, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, მოლდოვისა და უკრაინის გამოცდილება, არსებული გამოწვევები და სამომავლო ტენდენციები.

გიორგი შარვაშიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ევროპის განათლების ფონდმა, ერთობლივად, ჩატარეს რეგიონული კონფერენცია, რომელიც ეროვნული საკვალიფიკაციების ჩარჩო-დოკუმენტებს მიეძღვნა. განვიხილეთ სიტუაციები, რომელიც მეზობელ ქვეყნებშია. კონფერენცია საინტერესოდ მიმდინარეობდა, მასში მონაწილეობდა 85 დელეგატი 14 ქვეყნიდან. ყველა ქვეყანამ წარმოადგინა ჩარჩო-დოკუმენტი, მათ შორის, საქართველომაც, სადაც ორი ძირითადი მომენტია დაცული. პირველი, ეს არის საშუალება ადამიანისთვის, ცხოვრების განმავლობაში მიიღოს განათლება და მეორე, იმ ჩიხების აღმოფხვრა, რომელიც არსებობს პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის. ვვარაუდობთ, რომ მეოთხე-მეხუთე საფეხურები იქნება ჩამოყალიბებული ბაკალავრიატის დონეზე უმაღლეს სასწავლებლებში, რაც საშუალებას მოგვცემს, მეტი ახალგაზრდა შემოვიდეს დაწყებით პროფესიულ სასწავლებლებში და უფრო საინტერესო გახდეს ეს მიმართულებები. აღსანიშნავი და უდავოდ მისაღებია ისიც, რომ დღეს მკვეთრი ზრდა გვაქვს იმ ახალგაზრდების, რომლებიც დაწყებით პრო-

ფესიულ განათლებაში ერთვებიან. ვიმედოვნებ, რომ კანონპროექტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტში შევიტანთ, მხარდაჭერილი იქნება.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ და თავიანთი გამოცდილება გაავიზიარეს ევროპელმა ექსპერტებმა – ფინეთიდან, შვედეთიდან, ესტონეთიდან და იმ ქვეყნიდან, სადაც ამ მიმართულებით წარმატებული რეფორმა ჩატარდა. კონფერენციის დასრულების შემდეგ ერთობლივ დეკლარაციაზე შევეჯერდებით“.

ტიმო კუსლამი, ევროპის სასწავლო ფონდი: „ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ კონფერენციას აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობისათვის. მონაწილეობს 6 ქვეყნის დელეგაცია. მოხარულები ვართ, რომ, საქართველოს მთავრობის დახმარებით, ბათუმში გავმართეთ კონფერენცია.

კონფერენციის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, განათლებისა და შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებით, თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს. განიხილეს, თუ როგორ იცვლება კვალიფიკაციები და მოთხოვნები სხვადასხვა ქვეყნებში. ამ მიმართულებით მომუშავე ქვეყნებს სურთ განავითარონ საკუთარი განათლების სისტემა ისე, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებს პასუხობდეს, თუმცა ეს ადვილი ამოცანა არ არის. ამ გზაზე, ზოგ ქვეყანას მეტი პროგრესი აქვს, ზოგს – ნაკლები. ამ კონფერენციის მიზანია, ქვეყნებმა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება. ვისაუბრეთ ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“.

იულისის კვლევით ცენტრთან მემორანდუმი გაფორმდა

სამეცნიერო სფეროში საქართველოსა და გერმანიის ოცნლიანი წარმატებული თანამშრომლობის აღსანიშნავად, გერმანიის იულისის კვლევით ცენტრს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და გერმანიის იულისის კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრმა სებასტიან შმიდტმა. ამას წინ უძღოდა სამინისტროსა და იულისის ცენტრს შორის განზრახულობათა ოქმის ხელმოწერა, რომლითაც მხარეებმა მზაობა გამოთქვეს, ხელი შეუწყონ „კატუტელის“ პროგრამის ფარგლებში, ქართველი დოქტორანტებისთვის ორი (ქართული და გერმანული) სადოქტორო ხარისხის მინიჭებას.

იმავე დღეს, გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულისის კვლევით ცენტრს შორის. ფონდის მიზნობრივი პროგრამის დაფინანსებით, 2017 წლიდან, საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმში შემაჯავალ უნივერსიტეტებში ე.წ. SMART/EDM_lab ლაბორატორია დაარსდება და მას საქართველოში გერმანიიდან დაბრუნებული წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი წარუძღვება, რომელიც იულისის ცენტრის მკვლევართან უნივერსიტეტების კონსორციუმის სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირებს გააღრმავებს.

SMART/EDM_lab ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მედიცინის, გამოყენებითი კვლევებისა და ტექნოლოგიის მიმართულებებში მონაწილე კვლევით ლაბორატორიას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმსა და იულისის კვლევითი ცენტრის გარკვეული ინსტიტუტების შეთანხმების საფუძველზე ყალიბდება. SMART/EDM_lab-ის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების კვლევებისა და უახლესი, მომავლის ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, რომლის თანახმად, პროექტში ჩართულები იქნებიან როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი მეცნიერები.

საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის წევრები არიან: თსუ, სტუ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, იულისის ცენტრის მხარეს – ენერგეტიკისა და კლიმატის კვლევის ინსტიტუტი (IEK), ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი (IKP), ნეირომეცნიერებისა და მედიცინის ინსტიტუტი (INM), იულისის ნეიტრონული მეცნიერების ცენტრი (JCNS), ინჟინერიის, ელექტრონიკისა და ანალიზის ცენტრალური ინსტიტუტი (ZEA).

შეთანხმების თანახმად, ლაბორატორიის ტექნიკურ აღჭურვილობასა და საერთაშორისო სტანდარტების კვლევითი პროექტების წარმართვას მხარეები უზრუნველყოფენ.

SMART/Lab-ების დაფუძნება არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევის დონის ამაღლებასა და ახალგაზრდების მოზიდვას შეუწყობს ხელს, არამედ უნიკალური შანსი იქნება მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერებისთვის – სამშობლოში აწარმოონ სამეცნიერო კვლევები.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „უნივერსიტეტისთვის და ზოგადად, ქვეყნისთვის ძალიან საჭირო მემორანდუმი მოვაწერეთ ხელი. ეს არის სამუშაო, რომელიც გრძელდება უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ ახლა გადავდით ახალ



ეტაპზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც, სახელმწიფოს მხარდაჭერით, მიდიან საზღვარგარეთ სასწავლებლად, დაბრუნდნენ და ემსახურონ თავიანთ ქვეყანას. ასევე მნიშვნელოვანია უკვე წასული ჩვენი მეცნიერების საქართველოში დაბრუნება. ეს პროექტი სწორედ ამას ემსახურება. ჩვენ დოქტორანტებს ხელი შევუწყვეთ, რომ იულისში, გერმანიაში მივლით განათლება. ისინი ბრუნდებიან უკან და აქ ეწყობა შესაბამისი სამუშაო ადგილები. იულისის ცენტრი გვებმარება თანამედროვე ფიზიკის ლაბორატორიების მოწყობაში. ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები ჩაერთვებიან საერთაშორისო გრძელვადიან კვლევაში, რომელიც იულისის ცენტრში უნდა განხორციელდეს“.

სებასტიან შმიდტი, იულისის კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრი, პროფესორი: „დღეს გერმანიისა და საქართველოს თანამშრომლობის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ხელი მოვაწერეთ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლის ფარგლებშიც ვაპირებთ, ერთად გავაუმჯობესოთ მეცნიერება. ამ მემორანდუმის თანახმად, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობა ექნებათ, გაემგზავრონ გერმანიაში და დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს. მოუთმენლად ველი თანამშრომლობას“.

არჩილ ფრანგიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი: „მემორანდუმი მოიცავს საქართველოში ახალი ტექნოლოგიური ლაბორატორიების შექმნას, რომელიც წამყვანი როლი უჭირავს იულისის სამეცნიერო ცენტრს. ეს არის მსოფლიოში ბირთვული ფიზიკის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი. გარდა ამისა, უკვე მეოთხედ, საქართველოში, ტრადიციულად, ტარდება ე.წ. სამემოდგომო ლექციები, სადაც იულისის წამყვანი მეცნიერები ორკვირიან ლექციებს ატარებენ. სწორედ აქ ირჩევენ მომავალ მეცნიერებს, რომლებიც მიდიან იულისში და იქ მუშაობენ სადოქტორო პროგრამებზე. წელს 10 სტუდენტი გვყავს, რომლებიც იულისის დოქტორანტები არიან, რაც ძალზე სერიოზული მოვლენაა. სასიხარულოა, რომ გვესტუმრნენ იულისის ბირთვული ცენტრის დირექტორი, საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები, ცნობილი პროფესორი ჰაში, რომელიც საერთაშორისო ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორია. იგი დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა“.

სასკოლო აქტივობა

დასვენებასთან ერთად აქტიურობა არ შეზღუდვება...

31 ივლისს, მესტიის გამგეობის შენობაში, სვანეთის ახალგაზრდული ცენტრის მასშტაბურ პროექტში, „რიჰოს“ გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. პროექტი განხორციელდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდული განვითარების ფონდის მხარდაჭერით.

სვანეთის ახალგაზრდული ცენტრის „რიჰო“ მიზანია: ახალგაზრდობის ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი ჩამოყალიბება აქტიური მოქალაქეებად; ინტელექტუალური და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; საგანმანათლებლო, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა; ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირებს შორის ურთიერთობის დამყარება; სხვადასხვა სახის ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, ფესტივალების, გამოფენებისა და სხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება.

პროექტის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა პროზისა და პოეზიის მასშტაბური კონკურსის ჩატარებას სვანეთის სკოლებში. კონკურსის თემატიკა იყო „თამარ მეფე“. პროექტის მხარდამჭერი – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საინფორმაციო მხარდამჭერი – გაზეთი „ლილე“.

კონკურსში მონაწილეობდნენ ფარის, ბეროს, უშგულის, იფარის, ლენჯერის, მესტიის პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეები. ჩვენი სკოლიდან **დავით კვიციანი** მონაწილეობდა. მართალია, დაჯილდოებას საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო, მაგრამ სერტიფიკატი და სასაჩუქრე პაკეტი სექტემბერში გადაეცემა. ამ კონკურსის მონაწილეობა ტრენინგები უშგულში გაიარეს – გარემოსდაცვით (ბიომრავალფეროვნების) საკითხებში, კულტურული მემკვიდრეობისა და შიდა ტურიზმის განვითარების შესახებ.

მონაწილეობა ტრენინგები იყვნენ: **ზაურ ჩართოლანი** (შიდა ტურიზმის

განვითარება); **გელა ჯაფარიძე** (კულტურული მემკვიდრეობა); **გიორგი იანქოშვილი** (გარემოს დაცვა). პროექტ „რიჰოს“ ფარგლებში, გამარჯვებული მოსწავლეები, ასევე, მუშაობდნენ საინფორმაციო ბუკლეტებზე. საუკეთესო ბუკლეტის ავტორი გუნდი „ვილბერტი“ დაჯილდოვდა ნიგნების სასაჩუქრე პაკეტით. საჩუქრის გარეშე არც სხვა მონაწილეები დარჩენილან. პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარებმა დაათვალიერეს უშგულის ლამარისა (ნმ.მარიამის) მონასტერი, თამარის კოშკები. ესტუმრნენ მხატვარ ფრიდონ ნიჟარაძეს, რომლის მისტიკურმა სამყარომ ბავშვების აღფრთოვანება გამოიწვია.

დაჯილდოების ცერემონია დაესწრნენ: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **რევაზ ჯაფელიძე**, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი **ირაკლი ჟორჯიანი**, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი **კაპიტონ ჟორჯიანი**, სვანეთის ახალგაზრდული ცენტრის დამფუძნებლები – **მაია თარგამაძე** და **ლევან ნიჟარაძე**.

პროექტის მეორე ეტაპი მხოლოდ საზაფხულო სკოლით არ იყო შემოფარგლული – უშგულში დაიდგა საინფორმაციო ტურისტული ბილინგვური ბანერები, უშგულის შესახებ დატანილი ინფორმაციით: ფუსდის (ფუსტ) ეკლესიასთან; ჯგრაგ (წმინდა გიორგის) ეკლესიასთან; უშგულის ლამარისთან (ნმ. მარიამი); თამარის კოშკებთან (სუფარ); დევის ნაშენთან.

მონაწილეობდნენ: უშგულიდან – **გეგე ჩარქსელიანი**, **მარიამ ნიჟარაძე**, **ხატია ქოჩიანი**, **მარიამ ჩარქსელიანი**, **თეა ნიჟარაძე**, ფარიდან – **ანა რეზესიძე**, **ნიკა ჩხეტიანი**, ბერიდან – **ანა კვიციანი**, **ნინო ჯაჭველიანი**, ლენჯერელი – **თეკლე შუკანი**, **ნინო ფილფანი**, მესტიელი – **მაგაბა ჯაფარიძე**, **ნინო მარგიანი**, **მარიამ რატიანი**, **ბაქარ მუშუკიანი**, იფარიდან – **ბერდია პირველი**, **მარიამ გულბანი**.

მე ბედნიერება მხვდა, ერთი კვირა საოცარ ბავშვებთან ერთად, საოცარ სამყაროში გამეტარებინა. პროექტში ჩემი მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით პროექტის ხელმძღვანელებს – **მაია თარგამაძეს** და **ლევან ნიჟარაძეს**, ხოლო გულთბი-



ლი მიღებისა და მასპინძლობისთვის უშგულის საჯარო სკოლის დირექტორი **ნონა რატიანი**, სოფლის მაჟორიტარ დეპუტატ **ბაქარ ნიჟარაძეს**, იმ უშგულელებს, ვისი წყალობითაც უშგული ყველაზე თბილი და ლამაზად მოსაგონარი გახდა ჩვენთვის.


14 აგვისტოს, კვლავ გამგეობის შენობაში შედგა კონკურსის „გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი“ გამარჯვებულთა დაჯილდოება, რომელიც ორგანიზაცია „ბორჯღალოს“ ინიციატივით, ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა. მოსწავლეებს უნდა მოეძიათ სოფლებში შემორჩენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ლეგენდები, თქმულებები, მითები, ზღაპრები, გადმოცემები, ისტორიები) და მცირე ესეების/მოთხრობების სახით (1-2 გვერდი) გადმოეცათ, შესაძლებლობის შემთხვევაში, თან უნდა დაერთოთ ნახატები, ფოტოე-

ბი და ვიდეომასალები; წარმოდგენილი ნიმუშები (სულ 27 ნაშრომი) კრეატიულობის, ტექსტის დახვეწილობისა და გადმოცემის ხარისხის მიხედვით, შეაფასა საკონკურსო კომისიამ. კონკურსში მონაწილეობდნენ ფარის, ბეროს, ჭუბერის, ლენჯერის, მესტიის სკოლები.

გამოვლინდა სამი გამარჯვებული: **ლახამულის საჯარო სკოლა** – „უდუმდის სევდა“ (**ლექსო ჭკადუა**, **დავით კვიციანი**); ფარის საჯარო სკოლის ორი ნაშრომი: „ლეგენდა ლარისა და მდიდარზე“ (**ანა რეზესიძე**), „ლამპრობა“ (**ნიკა ჩხეტიანი**), პედაგოგი – **ევა წულუკიძე**. გამარჯვებულები ფოტოპარტებით დააჯილდოვდნენ.

ორივე კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლე-მასწავლებლებს ვულოცავ და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლის პედაგოგი



დავით კვიციანი
ლახამულის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე

თამარ მეფე

მე ერთი უბრალო ჯარისკაცი ვარ თამარის ლაშქრისა... იმ თამარისა, რომელმაც დაამტკიცა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია“ და უბრალო მოკვდავთა დაგვანახა ქალის ძალა და სიმტკიცე! მე იმ თამარის მოლაშქრე ვარ, რომელმაც მტერი დაჯაბნა და დაბნია არა სილამაზით, არამედ ჭკუა-გონებით. რა ხანია თვალს ვადევნებ ჩემს თანამებრძოლებს და ვგრძნობ, ყველა მათგანი ფარულად ეტრფის მეფეს, მზეთამზეს! მეც მიყვარს ის! მაგრამ

გათხოვნილ ქალს და თანაც მეფეთ მეფეს ამას როგორ შეეკადრებ, მაგრამ რა ვუყო გულს და გონებას, რომელიც მას ელტვის! ვცდილობ, მისი თვალთახედვის არეალში ვიტრიალო, მისი ქება დავიმსახურო და თავიც გავწირო ჩემი ტანჯული ქვეყნისთვის. მერე რა, რომ მე ვერ გავიგონებ მეფის ქებას, მაგრამ ბედნიერი ვარ იმის წარმოდგენითაც, თუ ჩემი სიკვდილის მერე მეფის ბაგეებს დასცდება ჩემი სახელი!

მე ერთი რიგითი ჯარისკაცი ვარ, თამარზე შეყვარებული. როდესაც თამარის სახელი მესმის, ჩემს გულში უსაზღვრო აღტაცებასთან ერთად უსაზღვრო სევდა იმკვიდრება ადგილს, რადგან ჩემს გრძნობას არც გამხელა უწერია და ვერც ამ ეტრატს იხილავს ვერავის თვალი, არათუ მეფისა თამარისა!

როდესაც თამარმა კაბის შრილით ჩამიარა და ზურმუხტისფერი თვალები შემომანათა, გულმა გამაღებთ დამიწყო ძგერა, მუხლის მოდრეკა დავაპირე, მაგრამ მეფემ ხელით მანიშნა: არაო! და დემორჩილდი მის ნებას. მთელი ღამე არ მიძინია, ბედნიერი ვიყავი, რომ მისი მონყალე გამოხედვის ღირსი გავხდი!

როდესაც თამარმა კაბის შრილით ჩამიარა და ზურმუხტისფერი თვალები შემომანათა, გულმა გამაღებთ დამიწყო ძგერა, მუხლის მოდრეკა დავაპირე, მაგრამ მეფემ ხელით მანიშნა: არაო! და დემორჩილდი მის ნებას. მთელი ღამე არ მიძინია, ბედნიერი ვიყავი, რომ მისი მონყალე გამოხედვის ღირსი გავხდი!

კონკურსში გამარჯვებული თემა

სასკოლო აქტივობა

სწავლას, გართობას...

წლის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლის მე-9, მე-10 კლასების მოსწავლეები, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, 2015 წლის 26 სექტემბერს, თბილისის ენციკლოპედიაში...

ლო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ახლებურად ორგანიზებაზე. სწავლების მიზანია, გააცნოს მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლები და განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები...

სახალისო სამეცნიერო აქტივობებში. ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაციები. დიდი მადლობა სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო წიფიანს, ამ ინტეგრირებული ღონისძიების განხორციელებაში დახმარებისათვის.

განცა ფირცხელიანი, მე-9 კლასი: „პიკნიკზე ყველაზე მეტად მომეწონა აპარატი „მულტიკლიმატიზატორი“, რომლითაც შეიძლება განვსაზღვროთ მინის ტენიანობა. იგი ახალციხის მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს. ასევე მომეწონა სეისმური აპარატი, რომელიც აფეისორებს მინისძვრებს და მავჯის საათი უსინათლოებისათვის, რომელიც ბათუმის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს და მრავალი სხვ.



ბაა, ამ ციხეს დღეს მხოლოდ ისტორიის მუზეუმების ფუნქცია რომ აკისრია“.

ბოლოს თუმანიშვილის თეატრს ეწვივნენ და სეზონის გახსნაზე „ბაკულას ღორებს“ დაესწრნენ. მოსწავლეები მოხიბლნენ მამა-შვილი ყიფშიძეების, ნინელი ჭანკვეტაძის, რუსუდან ბოლქვაძის და სხვათა თამაშით. სპექტაკლის შემდეგ ისევ სიურპრიზი – მათ გაესაუბრნენ ქალბატონები, ქეთი დოლიძე და ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობები – გიორგი ყიფშიძე, ზურა გენაძე და სხვები. გადაიღეს სამახსოვრო სურათები და შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდნენ სახლში.

ზინა (სამწუხაროდ, მსახიობის გვარი არ ვიცი). ამ სპექტაკლის არსი ის იყო, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ადამიანის უფლებებს აბოლოტურად არ იცავდნენ. გაბატონებული იყო უსამართლობა და უბრალო ადამიანი სამართალს ვერსად პოულობდა, ადამიანები ერთმანეთსაც არ ინდობდნენ. საცოდავი ვალაქტიონი ხომ მეზობლის ღორების გამო გაკოტრდა... სპექტაკლის შემდეგ სურათები გადავიღეთ მსახიობებთან.

მადლობას ვუხდით თეატრის ხელმძღვანელებს, კლდიაშვილის ეს უკვდავი ნაწარმოები რომ დადგეს და თეატრის ხელოვნებას გვაზიარეს. სახლში ალტაცებული დავბრუნდი. მიხარია, რომ მეც მივიღე ამ ღონისძიებაში მონაწილეობა“.

პირველად ზურაბ წერეთლის პანორამა მოინახულეს თბილისის ზღვაზე. „ქვაში გაცოცხლებულმა“ საქართველოს ისტორიამ თითოეულ მათგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

მარიამ ვიბლიანი, მე-9 კლასი: „ზღვაზე როცა ავედით, ვნახეთ უზარმაზარი სვეტიცხლე, ცისკენ აღმართული. ჯერ ამ გრანდიოზულობამ ვამოცოცხა, შემდეგ – ამ სვეტიცხლე ამოკვეთილმა „ქართლის ცხოვრებაში“. მე ის სვეტიცხლე დამამახსოვრდა, რომელზეც ამოკვეთილია მოვაჭრეთა გამოყრაც ეკლესიიდან. ამან ჩემში განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია.“

ულრმეს მადლობას ვუხდით, ყველასთან ერთად, ბატონ ზურაბ წერეთელს ასეთი არაჩვეულებრივი ქმნილებისათვის, რომელიც მან მთელ ქართველ ერს უსახსოვრა“.

აქედან ვაკის პარკს ეწვივნენ, სადაც „ილიაუნის“ სამეცნიერო პიკნიკი იყო გამართული.

მარიამ მუჯირიშვილი, ბარეთის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი: „თანამედროვე მეცნიერება დიდი ხანია გაცდა ჩაკეტილ ლაბორატორიებს. განათლების წინაშე მდგარი გამოწვევები მოითხოვს ახალგაზრდა მკვლევართა და გამოგონებელთა აქტიურ ჩართვას სამეცნიერო კვლევებში. ამიტომაც, ეროვნულ სასწავ-“

სამეცნიერო პიკნიკი ერთდღიანი ღონისძიებაა, რომელიც ყოველწლიურად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ღია ცის ქვეშ ტარდება და რომლის მიზანია მეცნიერების სხვადასხვა დარგისა და მიმართულების ყველა ასაკის ადამიანისთვის სახალისო და მიმზიდველი ფორმით წარმოჩენა.

ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი პოლონური წარმადებელი მოდელის მიხედვით გაკეთდა, რომელიც ვარშავაში, ნელს უკვე მეჩვიდმეტედ, იმართება კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრისა და პოლონეთის რადიოს ორგანიზებით. ვაკის პარკში განლაგებულ 6 ნ კარავში მეცნიერთა ჯგუფებმა, ახალგაზრდა გამოგონებლებმა, სხვადასხვა სკოლებმა წარმოადგინეს საინტერესო ექსპერიმენტები და შოუები ბიოლოგიის, ფიზიკის, ასტრონომიის, მათემატიკის სფეროებიდან. განსაკუთრებით საინტერესო ექსპერიმენტები სცენაზე დაიდგა. მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ წარმოდგენილ ექსპერიმენტებში და გასცნობოდნენ სამეცნიერო მიღწევებს.

განსაკუთრებული მოლოდინი ჰქონდათ ბავშვებს სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეული ანიმატორის – M. MOLEKULA, რომელიც მათთვის წინა წელს გამართული ღონისძიებიდან იყო ნაცნობი. ანიმატორმა უზრუნველყო დამსწრეთა ჩართულობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მასწავლებლებსა და დირექციას, ასეთი კარგი დღე რომ გვაჩუქეს“.

ვაკის პარკიდან წარიყალას ესტუმრნენ. ბავშვებმა საბაგირო გზით ასვლა არჩიეს. აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი პირველად მგზავრობდა ამ ტრანსპორტით. წარიყალაზე სიურპრიზი ელოდათ – აქ მათ დახვდათ ბიოლოგიის ყოფილი მასწავლებელი არსენ ოგანჯანიანი. საოცრად თბილი იყო მათი შეხვედრა. თურმე ძალიან მონატრებით ერთმანეთი...

ვანი მურღვლიანი, მე-10 კლასი: „საბაგიროთი გასეირნება ძალიან მომეწონა, მაგრამ სხვებიც, ვინც ჩემსავით პირველად მგზავრობდა, მეც შემეშინდა. როცა დავინახე, მტკვარი ძალიან მღვრიე მიედინებოდა, გამიღვია: ვაი, რომ ჩამოწყდეს და ამ ბინძურ წყალში ჩავცვივდეთ, რა გვეშველება-მეთქი. ის კი არ მიფიქრია, ამ ჩამოყარდნას სხვა რა საფალო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა. საბედნიეროდ, მშვიდობიანად და ხალისიანად ვიმგზავრეთ იქეთ-აქეთ.“

ციხის დათვალიერებამ კი საქართველოსა და თბილისის ტყვილიანი წარსული გავაცანსა. რა ბედნიერ-



ინფორმაცია

შეხვერა „ფოლკსვაგენის“ წარმომადგენლებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე „ფოლკსვაგენის“ ფონდის გენერალურ მდივან ვილჰელმ კრულსა და ფონდის სხვა წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც მხარეებმა საქართველოში მეცნიერების განვითარების პერსპექტივები და საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საკითხები განიხილეს, სადოქტორო საფეხურზე სწავლებისა და კვლევის მიმართულებით.

ვე დაინყებენ მუშაობას კონკრეტული შემთავაზების შედგენაზე, რომელსაც „ფოლკსვაგენის“ ფონდში წარადგენენ შემდგომი დაფინანსებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტულ მიმართულებად წინ წამოწეულია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, უფრო კონკრეტულად – ციფრული ჰუმანიტარია, რომლისთვისაც გვეჭირდება ახალგაზრდა კადრების მომზადება, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე.



შეხვედრაზე, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი მარინა ჩიტაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგა ზედანია ესწრებოდნენ, ქართველ მკვლევარებსა და გერმანელ მეცნიერებს შორის თანამშრომლობის თაობაზე იმსჯელეს, კერძოდ – როგორ გაუმჯობესდება ახალგაზრდა ქართველი დოქტორანტებისა და მკვლევარების შესაძლებლობები. საუბარი შეეხო, ასევე, დოქტორანტთა სამომავლო პერსპექტივებს როგორც კვალიფიციურობის კუთხით, ისე კვლევით აქტივობებში.

აქედან გამომდინარე, ამ ახალ და კიდევ სხვა მიმართულებებს, რომელიც ქვეყნისთვის პრიორიტეტული იქნება და მისაღები „ფოლკსვაგენის“ ფირმისთვის, უფრო დეტალურად, შემდეგ ეტაპზე განვიხილავთ.“



„ფოლკსვაგენის“ ფონდი მსოფლიოში მეცნიერების ყველაზე დიდი დამფინანსებელია. კვლევით პროექტებს, მეცნიერების ყველა სფეროში, 1962 წლიდან აფინანსებს.

ვილჰელმ კრული: „ძალიან საინტერესო შეხვედრა გვექონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან. დასაფასებელია, რომ ქართველ მკვლევარებსა და გერმანელ მეცნიერებს თანამშრომლობის შესაძლებლობა ეძლევათ. ჩვენ განვიხილეთ, როგორ გავაუმჯობესოთ ახალგაზრდა დოქტორანტებისა და მკვლევარების მდგომარეობა. ვისაუბრეთ იმაზეც, თუ როგორ გამოიყენონ მათ სადოქტორო პროგრამები უფრო სტრუქტურულად, რათა უკეთ ისწავლონ. ვფიქრობ, დასაფასებელია, რომ მათ უამრავი შესაძლებლობა აქვთ სამომავლოდ. ახალგაზრდებს ბრწყინვალე პერსპექტივები აქვთ როგორც კვალიფიციურობის კუთხით, ისე კვლევით აქტივობებში.“

თამარ სანიკიძე: „ქართული უნივერსიტეტები, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჩართულობით, უკ-



მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანა - ეფი ბრისტი
მიგელ დელიგანი - ორი რომანი
აპოლონ კ. ტანვინარი - დროის ინსტიტუტი
ქანე ჟირონი - ჰუსარი სახურავზე
ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
რაფაელ საბათინი - დამოუღებელი ბათონიანი
ისტორიის მიღმა
ერნესტ ჰოფმანი - საბანის ელექსირები
ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
ჯონ გოლდსუორთი - რჩეული მოთხრობები
ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
ჰენრი რაბინოვიჩი - მონტანაშას ასული
ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
ჯონათან სვიფტი - გულგრილი მოგზაურობა
ჟოზეფ ლოუის გოტი - სახიფათო კავშირები
ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
შტეფან ცვაიგი - მოუთმინელო გულისა
მარკო პოლო - საყვარელი ჩრდილოეთი მიწებიდან
პროსპერ მერიმე - იტალიური ვენერა
გიორგი კ. ჩხატარაძე - დონ კისოტის დაბრუნება
სტენდალი - ვითარება და შავი
ჯონ ბუკინი - გზა ელიტიზმისაკენ
ალბერტ მორავია - მოწყვნილოვა
ალექსანდრე დიუმა - კავკასია
ჯეიმზ ჯ. კუპერი - ჯაშუში
მან რიდი - კვარტალი
ვილჰელმ ჰაუსერი - ლიტერატურის
თეოდორ დრაიზერი - დიპლომატი
ალბერტ კოენი - დედაჩემი
გუსტავ ფლობერი - მადამ გოგარი
ეივლ ზოლ - ქალთა პედანტიზმი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



თითო ტომის ფასი 14 ლარი



ნიმფი I
კველი ქართული მწერლობა;
ნიმფი II
„ვეფხისტყაოსანი“;
ნიმფი III
XIX საუკუნის მწერლობა
ნიმფი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ ბელიტაშვილი,
ამირან გომარეთელი

თითოეული კრებული ფასი - 12 ლარი



სამარჯიშო რვეული
ქართულ მართლმადიდებლურ
საზოგადოებრივ ცენტრში

10 ლარი



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერილი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევების აღიარება, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მონაცემების სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სინახე



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდები როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი - 7,30 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტარული
ტექსტი და
ანალიტიკური
გზამკვლევი

12 ლარი




შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის
კრეატიული ვერსია
სერიიდან
ინტელექტი სკოლას

ფასი - 15 ლარი

თითო ტომის ფასი 12 ლარი

საყვარელი ენციკლოპედია

- ავტომობილი
ამინდი
სამშრანი
უდაბნო
გამგონებები
გამძის ქივაბი
გლადიატორები
დრო და კალენდარი
კველი ეგვიპტა
ეპროვა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმიკა
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უკველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
კველი რომი
კველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას,
მიუთითეთ პირადი ნომერი

დაწყებითი
კლასებისთვის

- ფორმატი A2 (42x59.4 სმ)
1. წელიწადის დროები:
ფართობი-ზამთარი
2. წელიწადის დროები:
გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. პიტიონის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის პინაქლები
2.50 ლარი

მეტადი
კლასებისთვის

- ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)
1. რელიგიის წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძვეწარგებლები საძარტველოში
6. საძარტველო მცენარეები
7. სამხარის წარმოშობა
8. ნიადაგი - სიტყვების წყარო
9. რაბიტი და დინოზავრები
10. ზღვის დინოზავრი
11. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართული მედიის ფიზიკა და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს მშვიდი სოციალიზმი
4 ლარი

მწერალთა
კორტრეტები (34x47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. პაპი ნეკრესელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიქარპე ქაპაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. გიორგი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მთავარი
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი
4 ლარი

რეკონსტრუქციები

- 1. ჰერაკლიტის ფიცი - შაკლუნი დავითი
2. მფხვთა თამბაქოსი - დოქტორი
ბირლანდო
3. ადელ ზღო-გაბრიელის პორტრეტი -
გუსტავ კლიმტი
4. მინიკა - დიმიტრი ველასკისი
5. დელფოსელი სიბილა - მიხაელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლუდ მონე
7. უკველი მშვიდის დაბრუნება -
რეზინანდტი
8. საძინებელი - ოგიუსტ რენუარი
9. საპირფარეო გასინჯვა გრან შატის
კუნძულზე - ჟორჟ სიორა
6.5 ლარი

მითითებულია
ერთი ცალის ფასი


თამაშური კლასიკები

როგორ განვასხვაოთ მარჯვენა და მარცხენა

შესაძლოა თქვამთ, რომ არ არის აუცილებელი, გავვხვდეთ სასკოლო ასაკამდე იცოდეს ისეთი ცნებების მნიშვნელობა, როგორც ბიცა „ზემოთ“ და „ქვემოთ“, „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“.

თუ ასე გგონიათ, ცდებით. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სივრცითი წარმოდგენა ის საფუძველია, რომელსაც ეყრდნობა უმაღლესი ფსიქიკური პროცესები – აზროვნება, წერა, კითხვა, თვლა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვის ტვინი საკმაოდ დინამიკურად ვითარდება, მშობელმა მასთან ურთიერთობას შემცნობითი დატვირთვაც უნდა მისცეს.

როცა პატარა ბავშვს ვაცნობთ ცნებებს „ზემოთ“, „ქვემოთ“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“, ძალდაუტანებლად ვუყრით საფუძველს მის მომავალ განვითარებას. ამ საფუძველზე წარმატებით შენდება მრავალფეროვანი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები. პატარას სივრცითი ელემენტები რომ გავაცნოთ, მისი აზროვნებისა და აღქმის თავისებურებები უნდა გავითვალისწინოთ. სამ წლამდე ბავშვი მხოლოდ იმას აღიქვამს, რასაც ხედავს და უშუალოდ ეხება. მისი ყურადღება ქაოსურად გადაერთება ობიექტიდან ობიექტზე, მრავალჯერ უბრუნდება ერთსა და იმავეს. გარემომცველი სივრცის კვლევის შედეგი მას ნაქლებად აინტერესებს – რაც აუცილებელია, ისედაც მიაწვდინა.



ორიენტირება, გარე სამყაროს გაცნობა

პატარა ბავშვი კონკრეტული მიზნისკენ არ მიიღწევს, მას თავად გარე სამყაროს გაცნობის პროცესი იზიდავს, ამიტომ ამაოა საყვედური, რომ სეირნობისას ის უაზროდ ათვლიერებს ერთსა და იმავე საგანს – პატარა ბავშვი ამ დროს გრძნობითი ხატების ბანკს ქმნის, რომელიც შემდგომ საფუძველად გაუხდება მის აზროვნებასა და მეტყველებას. ორ წლამდე ბავშვის მეხსიერება ასოციაციურია – მისი უნარი, გაიხსენოს რაღაც, ემყარება იმ ობიექტის გამოცნობის შესაძლებლობას, რომელიც მის მკაფიო ემოციურ რეაქციას იწვევს. მხოლოდ სამი წლისთვის იწყება კონკრეტული მეხსიერების ფორმირება, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს, სიტყვიერად აღწეროს მოვლენები და ხელახლა განიცადოს ემოციები. შემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- თამაშის დროს პროვოცირებას ვუწვევთ დადებით ემოციებს და როგორც კი ბავშვი დაიღლებს, თამაშს მამინვე ვწყვეტთ;
- შემოგვაქვს სივრცითი აღნიშვნები ბავშვის ცნობიერებაში ყოველდღიური რიტუალების – ბანაობის, ჭამის, სეირნობის დროს.

ვიგებთ და ვიცით

პირველი ლერძი, რომლის არსებობაც ფეხის ადგმისთანავე გასაგები ხდება ბავშვისთვის, ვერტიკალურია. თუ ბავშვმა ოთახი ისე გაიარა, რომ ცოცვა აღარ უცდია, ესე იგი ცნებებს „ზემოთ“ და „ქვემოთ“ ის, ფაქტობრივად, იცნობს. ისლა დაგვრჩენია, ეს ცნებები ხშირად გამოვიყენოთ საუბრისას: „ფეხები ქვემოთაა, თავი – ზემოთ“, „დაჯექი, დაბლა დაეშვი“. წლინახევრისთვის ბავშვი სკამებისა და სავარძლების დაპყრობას იწყებს და უკვე ნამდვილად გაქვთ საფუძველი, ხშირად წარმოქმნის სიტყვები „ზემოთ“ და „ქვემოთ“. არ არის აუცილებელი, ხელოვნურად შევქმ-

ნათ სასწავლო სიტუაცია. თავდაპირველად საკმარისია, მოზრდილი ადამიანი უბრალოდ ჩაერთოს ბავშვის სპონტანურ ქმედებებში. მაგალითად, პატარა „მთამსვლელი“ სკამიდან ჩამოძრომას ცდილობს, ხელებით საზურგეს ჩასჭიდებია, ფეხით კი იატაკს სინჯავს. დაეხმარეთ რჩევით: „თუ ხელებს უფრო ქვემოთ მოჰკიდებ, ფეხით იატაკს მისწვდები“. ანალოგიურად შეიძლება გამოვიყენოთ საპირისპირო სიტუაციაც. ამ ცნებების ათვისებისას სავარჯიშოდ კიბის საფეხურებზე გამოგვადგება.

მარჯვნივ და მარცხნივ

ორი წლისთვის ბავშვების უმრავლესობას უკვე შეუძლია კოვზის დაჭერა და დამოუკიდებლად ჭამა, ეს კი ნიშნავს, რომ დროა, ხელებს „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ვუნოდოთ. ამ საორიენტაციო დასწავლიდან იწყება შეგქმნება იმისა, სად არის მარჯვენა და სად – მარცხენა. შემდგომ ეს ყოველივე აზ-

როვნებაში გადავა და ანალიზის, სინთეზისა და შედარების ლოგიკურ პროცესებს მოემსახურება. როგორ ვასწავლოთ ბავშვს თავისი ხელების სახელები? რასაკვირველია, თამაშით! პატარას მარცხენა მარჯვნივ ნაჭერი შემოვახვიოთ, მარჯვენაზე – ზონარი, თან რამდენჯერმე ავუხსნათ, რომელ ხელზე რა აქვს, მერე კი დავიწყებთ თამაშს „საჭირო ხელი“: ბავშვს ვთხოვთ, ასწიოს „საჭირო“ ხელი ჩვენი თხოვნის შესაბამისად. რამდენიმე დღე ასე ვითამაშოთ, მერე კი თამაში ნაჭრისა და ზონრის გარეშე განვაგრძოთ. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩაცმა კიდევ ერთი შესანიშნავი გზაა „მარჯვენასა“ და „მარცხენას“ შესასწავლად. ყოველ ჩაცმაზე ვიმეორებთ: „მარჯვენა ხელი – მარჯვენა სახელოში, მარცხენა – მარცხენაში“. ცნებების „წინ“ და „უკან“ ათვისება მოგვიანებით, სამი წლის შემდეგ ხდება. თამაში აქაც დაგვეხმარება.

მარიკა ღვალაძე

ბავშვის მეტყველების განვითარებისთვის შექმნილი ვიდეოგაკვეთილები უშედეგოა

ბავშვის განვითარების კვლევის ცენტრის ამერიკელი ექსპერტების მოსაზრებით, ახალ სიტყვებს ბავშვები მასწავლებლებთან ცოცხალი ურთიერთობით უფრო ადვილად ითვისებენ. ამ თვალსაზრისით, ვიდეოგაკვეთილები საერთოდ უსარგებლოა. მათი თქმით, ბავშვები სწავლობენ მშობლების, ძიძის ლაპარაკის მოსმენისას, მაშინაც კი როდესაც ისინი თანამოსაუბრეს ონლაინ ეკონტაქტებიან. ვიდეოგაკვეთილებში ბავშვებს უშუალოდ არაფერს მიმართავს და არ პასუხობს საპასუხო რეაქციით, სწორედ ამიტომ ასეთი გაკვეთილები არ მუშაობს. მეცნი-

ერების მიერ 2 წლის ასაკის 30 ბავშვთან ჩატარებულ ექსპერიმენტში ბავშვები ახალ ზმნებს სწავლობდნენ სამი მეთოდით: რეალურ ადამიანთან, ვიდეოჩატი მასწავლებელთან ურთიერთობით და ვიდეოჩატიანერით, სადაც იგივე მასწავლებელი უბრალოდ ხსნიდა ახალ მასალას. ეფექტური აღმოჩნდა პირველი ორი მეთოდი. ბავშვები ზმნებს იმახსოვრებდნენ და სწორად იყენებდნენ სხვა ადამიანების გარკვეულ ქმედებებთან დაკავშირებით. ვიდეოგაკვეთილებით კი ბავშვების სიტყვის მარაგი ვერ მდიდრდებოდა.

ლალი ჩხიკვაძე

ძილის წინ ზღაპრების წაკითხვა მეტყველებასთან დაკავშირებულ ტვინის უბნებს ავითარებს

სპეციალისტები დიდი ხანია ურჩევენ მშობლებს, ბავშვებს ძილის წინ ზღაპრები წაუკითხოთ. ცინცინათის ბავშვთა ჰოსპიტლის სამედიცინო ცენტრის მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ ეს მათში ავითარებს სწავლის უნარსა და მეტყველებასთან დაკავშირებულ ტვინის უბნებს. მეცნიერების აზრით, წერს The Daily Mail, სკოლამდელი ასაკი წარმოადგენს ტვინის განვითარების კრიტიკულ პერიოდს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია არ დავკარგოთ ეს ძვირფასი დრო. ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 3-დან 5 წლამდე ასაკის 19 ბავშვი. მათგან 37% იყო ხელმოკლე ოჯახიდან. მოხალისეთა მშობლები ყველბოდნენ რამდენად ხშირად და რომელ

ნიგნებს უკითხავდნენ ისინი შვილებს, როგორ ექცეოდნენ და თამაშობდნენ ბავშვებთან. ამის შემდეგ სპეციალისტები ახდენდნენ მონაწილეთა ტვინის სკანირებას, ვიდრე ბავშვები ყურსასმენებით ისმენდნენ ზღაპრებს. კვლევამ აჩვენა, რომ ამ შემთხვევაში ბავშვების ტვინის სემანტიკურ გადამუშავებასთან (მოსმენილი ტექსტიდან შინაარსის გამოტანის უნარი) დაკავშირებული უბნების აქტივობა უფრო მაღალი იყო. მოცემული ზონები პასუხისმგებლები არიან მეტყველებასა და კითხვაზე შედეგები არ შეცვლილა, მონაწილეთა ოჯახების შემოსავლების დონის გათვალისწინების შემდეგ.

ლალი ჩხიკვაძე



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ძ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
Barcode
9 772233 386008 >

mkurnali.ge